

K 47-606  
2



## მოქმედი პირები

ვევლიძე { ათენელი მოქალაქენი.  
პისტეტერე {  
ოფოფის მსახური.  
ოფოფი.  
ფრინველების ქორო.  
პოეტი.  
მისანი.  
მეტონი, მიწის მზომავი.  
მეთვალყურე.  
კანონთა შემკრები.  
მაცნე ფრინველები.  
ირიდა, ღმერთების მაცნე.  
მაუწყებელი.  
ურჩი შვილი.  
კინესია, პოეტი მეხოტბე.  
დამსმენი.  
პრომეთე.  
პოსეიდონი.  
ტრიბალი.  
ჰერაკლე.  
მონები.

სცენა წარმოადგენს უდაბურ ადგილს. სიღრმეში ვხედავთ განმარტებით მდგარ ხესა და გადაქანებულ, კედელივით აღმართულ ქვას. გამოჩნდება ორი დაღლილი ათენელი, ხელში ფრინველები უჭირავთ, ერთს — პისთეცერეს — ყვავი, ხოლო მეორეს — ეველპიდეს — ჭკა. კეცობათ, ფრინველები, ათენიდან მოყოლებული, გზას ასწავლიდნენ, ახლა კი ვეღარ იგნებენ სავალს და დროდადრო გაოცებულნი მალლა აყურებიან, სინამდვილეში ისინი უკვე მოსულნი არიან დანიშნულების ადგილზე. მაგრამ პატრონები ამას ვერ მიმხვდარან. ამიტომაც, ეველპიდე ეკითხება თავის ჭკას.

ეველპიდე (მიმართავს ჭკას).

პირდაპირ სინსკენ გავემართო თუ რა ვიღონო?

პისთეცერე

ჯანდაბას იქით! დაბრუნებას ყრანტალებს ჩემი.

ეველპიდე

როგორ ცუტია, კიდევ დიდხანს უნდა ვიაროთ?

ასე უაზრო ხეტიალში დავიხოცებით.

პისთეცერე

ბრიყვი უაზ, ბრიყვი. ყვავის ყრანტალს როგორ აყევი,

ამოდენა ვზა ტყუილუბრალოდ გამოვიარე.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

მეტის ღირსია, ჭკაა ვინც ჭკუას დაეკითხება,  
სისხლი მდის ფეხის ფრჩხილებიდან, ლამის დავეცე.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

სადა ვართ ნეტავ, რომელ მხარეს, ვის ქვეყანაში?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

თუ იპოვიდი სამშობლოში მიმავალ ბილიკს?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ექსექესტიდეს<sup>1</sup> დააბნევდა აქაურობა.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

დავიღუპენით.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ასემც იყოს, ოღონდ უჩემოდ.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ონინ გვიყო ფილოკრატემ, ბაზრის კუთხეში  
ნიტებს რომ ყიდის. გავგაცურა, გავვაპამპულა.  
გვითხრა, ტერევსთან მიგიყვანთო ეს ჭკა და ყვავი;  
თითონ ტერევსი რა ხანია ოფოფად იქცა.  
ყვავში მანეთი გამოგვართვა, ჭკა ცხრად დაგვითმო,  
იმ არამზადამ. ნეტა ასე რამ გაამწარათ,  
რა უნდათ ჩვენგან, რა ძალღივით იკბინებიან. (ჭკაბ.)  
რას დაგიღია ეგ ნისკარტი? კლდეს სომ არ გინდა  
ვაჯახო შუბლი. ვერა ხედავ, გზა დაიღია.

ი ს თ ე ტ ე რ ე  
ზას ვინ დაეძებს. ბილიკიც არ ჩანს.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
აინც რას ამბობს უენი ყვავი, საით წავიდეთ?

ი ს თ ე ტ ე რ ე  
ო, ზევსო, რაღაც უცხო ხმაზე დაიყრანტალა.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
რა გზა გვირჩია?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
ვერას გეტყვი. ეს ვიცი მსოლოდ -  
ერთი სული აქვს, სანამ თითებს დამიკორტნიდეს.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
ვაი, ამ ყოფას! ყვაე-ყორნებში გასამგზავრებლად<sup>2</sup>  
ბარგი შევკარით, მაგრამ იქაც არავინ გვიშეებს,  
დაკეტილია, დახშულია ჩვენთვის ყველა გზა.  
მაყურებელნო, სხვა სენი გვჭირს, მოურჩენელი.  
არაფრით არა ჰგავს იგი საკას<sup>3</sup> ავადმყოფობას,  
ვინც ღამობს გახდეს მოქალაქე, ათენის მკვიდრი;  
სასახელოა ჩვენი მოდგმა და ჩვენი თემი.  
ვინ გაგვიბედავს გაძევებას, უძველეს მკვიდრებს,  
სახლ-კარი თავად მივატოვეთ და გამოვფრინდით:  
ნურვინ იფიქრებს, თითქოს გვძულდა ქალაქი ჩვენი,  
ფართოდ გაშლილი, მდიდარი და აყვავებული.

აქ ყველა მცხოვრებს უფლება აქვს დროზე დაფაროს  
ვადასახადი. ჭრიჭინა რომ ჭრიჭინა არის,  
მხოლოდ ერთი თვე დაჭრიჭინებს პაღმა ბაღებში.  
ჩვენ კი ვერაფრით გავუძელით ათენელების  
ჭიჭყინს და ყაყანს; ავიკარით გუდა-ნაბადი.  
მოგვაქვს ქოთანნი, ხელკალათი და რტო შირტისა,  
დავეხეტებით, თავშესაფარს დავეძებთ მყუდროს,  
სად შეიძლება ლტოლვილებმა დავიდეთ ბინა.  
გვინდა ტერევისი უინასულოთ, თფოფი ბრძენი,  
იქნებ ქალაქი, სასურველი, მან მიგვასწავლოს  
ყად აფრენილი, ღრუბლებიდან დაინახავდა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
ეჭვი!..

ე ვ ე ლ ჰ ი დ ე  
რა ამბავია?..

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
კარგა ხანია, ჩემი ყვაფი ყაპყაპებს, ცმუკავს,  
დადაცას უნდა მანიშნებდეს.

ე ვ ე ლ ჰ ი დ ე  
ამ ჩემმა ჭკამაც

გახსნა ნისკარტი, მისი ჭკუით, ცისკენ მახედებს.  
აქ, ახლომახლო, ფრინველები რომ არ ბუდობდეს  
ვერ დავიჯერებ, ავხმაურდეთ, გამოჩნდებიან. (ტაშს შემოკრა-  
ვენ, სიჩუმეა.)

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ერთ რჩევას მოგცემ, აი, ამ კლდეს მუხლი ატაკე.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

მე კი გირჩევდი, მაგ პიტალოს გოგრა ახალო.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

კმარა. ქვა დასცხე.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

აჰა, დავცხე.

ეი, ფაფა, ფაფა!

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

სად გაგონილა! ოფოფს ფაფას როგორ ეძახი.

აჯობებს „ოფ-ოფ“ შეუძახო, გამოიხედავს.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ოფ! ოფ! ოფ! რა ვქნათ, ისევ ხომ არ დავაბრახუნოთ?

ოფ! ოფ! ოფ!

(კლდეში უეცრად კარი იღება. გამოვარდება გრძელნიკარტაღებული ფრინველი ოფოფის მსახური.)

ო ფ ო ფ ი ს მ ს ა ხ უ რ ი

ვინ ხართ? ვინ ეძახდა მეუფეს ჩემსას?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

რა საშინელი ნისკარტი აქვს. ო, ღმერთო ჩემო!

ო ფ ო ფ ი ს მ ს ა ხ უ რ ი

მონადირენი! დავიღუპე, რა მეშველება!

ეველპიდე (თაფისთვის).

ხმა უფრო გულისამრევი აქვს თუ პირისახე?

ოფოფის მსახური

გაწყვეტა თქვენი!

ეველპიდე

ჩვენ ხომ კაცნი არა ვართ?

ოფოფის მსახური

მაშ, ვინ?

ეველპიდე

მე ლიბიელი ფრინველი ვარ, მშიშარა მქვია.

ოფოფის მსახური

სხვას მოუყევი ეგ ზღაპარი?

ეველპიდე

კარგად შემხედე!

ოფოფის მსახური (ანიშნებს პისთოტეტებზე)

ეს რა ჩიტია, სადაური, ხომ ვერ მეტყობდი?

პისტეტე რე

ხოხობი მქვია, ფაზისელი მე ვარ ფრინველი.

ეველპიდე

შენ თვითონ ვინ ხარ, ნუ დაგვიმალავ.

ოფოფის მსახური

მონა-ფრინველი.

ეველებიდე

ჩამალს ხომ არ დაუკორტნისარ?

ჩა დაგმართნია.

ოფოფის მსახური

პრა. ჩემმა ოფოფ-ბატონმა

ილოცა, რომ მეც ვქცეულიყავ ფრინველად, რათა

მოსამსახურედ დავდგომოდი, პირისფარეშად.

ეველებიდე

ხუთუ ფრინველთაც მონა სჭირდებათ?

ოფოფის მსახური

მხოლოდ მათ, ერთ დროს კაცის სახელს ვინც ატარებდა.

უცებ ბატონი ფალერონის<sup>1</sup> ქაშაყს ისურვებს,

გაფრბივარ, თეფშზე დალაგებულს მოვარბენინებ.

სანაც წვნიანი მოუნდება, ჩამჩას და ქოთანს

მოვაცუნცულებ.

ეველებიდე

ჩანს. ბიჭი ხარ — მოჯამაგირე.

აბა. წინტალავ, გაიქეცი. უენი პატრონი

აქ მოიყვანე.

ოფოფის მსახური

დაიძინა, ზევსია მოწმე,

კარგად დანაყრდა კოლოებით, ხილიც იგემა.

ეველებიდე

დიდი ამბავი! გააღვიძე!

მე თუ ვიქნები მისაღებია  
თაშინდელ ბოაზობს,  
როცა ვადვიძებ, თქვენს ხათრით ამასაც ვაჩამ.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
კანაღამ გული გამიხეთქა, ჯანდაბას იქით!

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
რა ექნა, რა წყალში გადავვარდე, ჭკა გამიფრინდა,  
დაფრთხა საწყალი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
შე დანართ, რა დაგეძართა,  
რა ჭირი გვცა, ჭკა ხელიდან როგორ გაუშვი.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
წუნც კარგი ბოთე გამოდექი, ძირს რომ დავარდი,  
ყვავი გაგექცა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
არაფერიც.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
მამ, სად წავიდა?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
რა ვიცი.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
თუ არ გაგიშვია, ქების ღირსი ხარ.

ოფოფო მსოფსოცი

პა. იუჩქები ვადასქიეთ, სუ გამოვდივარ. ცგამიდას მთუა  
თფოფო ბუმბუნარისა და ჭალების ბინადა.

ეველებიდე

ასულდერი მოგვევლინა. ჰთი, ჰვრაკლეე!

ქონთბი აჭვს ჩანაირი მოსავს ბუმბუდი!

ოფოფო

ან მფდახოდა?

ეველებიდე

თთსტ ვატყობს თლიმპოს ღმერთებს

აუხეჩიხართ.

ოფოფო

პ. დამცინით, ანასხარავებთ

ემს განისამოსს?

გუნურებთ, მე ხომ კაცი ვიყავი ერთ დროს.

ეველებიდე

უნ ათ დავცინით.

ოფოფო

მან ვის, მითხარით.

ეველებიდე

შენი ნიხკარტი მოგვეწონა. ეს იყო მხოლოდ.

ოფოფო

ხოფოკლემ მიყო ევ თინი. ტრაგედიაში

გამომიყვანა. გამამასხრა. გახსოვთ ტერევისი?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

აჰა, ტერევისი? თქვი, ჩიტი ხარ თუ ფარშავანგი?

ო ფ ო ფ ი

ცხადია ჩიტი.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

მაშ, ბუმბული რაღა უყავი?

ო ფ ო ფ ი

გამცვივდა. გამძვრა.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ხენი იყო ალბათ მიზეზი.

ო ფ ო ფ ი

არა. ზამთრობით ფრინველები ბუმბულს იცვლიან ძველი ცვივდება, იმოსება სხეული ასლით. თავად თქვენ ვინ ხართ?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ვინ ვიქნებით, მოკვდავნი, კაცნი.

ო ფ ო ფ ი

სადაურები?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ჩვენს ქალაქში გემებს აგებენ.

ო ფო ფ ი

მოსამართლენი ხომ არა ხართ?

ვ ვ ე ლ ჰ ი დ ე

არა, პირიქით —

მსაჯულთა მტრები.

ო ფო ფ ი

ნუთუ კიდევ არსებობს სადმე

ამგვარი ხალხი?

ვ ვ ე ლ ჰ ი დ ე

იშვიათად, ისიც სოფლებში.

ო ფო ფ ი

აქეთ რა ქარმა გადმოგაგდოთ, რამ შეგაწუხათ?

ვ ვ ე ლ ჰ ი დ ე

შენს სანახავად წამოვედით.

ო ფო ფ ი

რატომ და რისთვის?

ვ ვ ე ლ ჰ ი დ ე

ერთი დრო იყო, შენც ჩვენსავით კაცი იყავი,

აურაცხელი შენც ჩვენსავით გქონდა ვალები,

ჭირივით გძულდა შენც ჩვენსავით გადახდა ვალის.

ერთი დღე დადგა და უცნაურ ფრინველად იქცა.

მიწას უვლიდი, ზღვის ტალღებზე დასრიალებდი,

ვაცის გონებას მიემატა გუმანი ჩიტის.

მოგსულვართ შენთან, შეისმინე ეს სათხოვარი,  
იქნებ ქალაქი მიგვასწავლოთ ფაფუკი, თბილი,  
რომ რბილ თექაზე ნებიერად მოვიკადათოთ.

ო ფ ო ფ ი

ათენზე დიდი გენდომებათ ალბათ ქალაქი.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

დიდი რას გვარგებს, მთაყარია მყუდრო ცხოვრება

ო ფ ო ფ ი

არისტოკრატებს" ხომ არ დაეძებთ?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

არისტოკრატებს სათოფეზეც აი დაეუფლები

ო ფ ო ფ ი

შაინც როგორი ქალაქი გინდათ?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

იხუთი, სადაც საზრუნავი ვხდა შექნება

დიდი მოკეთე გამომიყლის, სვეწნას კამაწყებს

კიწამე დმერთი, დიდი შვესი თლიშპიელი,

აბანოდან რომ დაბრუნდები, უნდა მესტუმრო

შენი ჯალაბით, ქორწილს ვიხდი, მეცო პატივი,

არ შეწვევი და არ ასხენო ჩემი სახელი,

როცა მოვკვდები, ჩემ სატირლად აღარ მოხვიდე"

ო ფ ო ფ ი

როგორ გეტყობა, ვრდიები იოლ ცხოვრებას. (ანსტოტორე)

შენც ასეთი ხარ?

ის თ ე ტ ე რ ე  
ქიას. შუხტად.

ო ფო ფ ი  
ნა უფრო მოგწონთ.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
ჯნაზე შემომხედეს ხუჭუჭთმიან ყმაწვილის მამა,  
მისაყვედუროს. გულგრილობა დამწამოს დიდი:  
„ამას ველოდი? ჩემს ბიჭუნას ზედ არ შეხედე,  
ნათს გიმნასიონს გამოსცილდა პირდაპანილი,  
აჲ მოფლენო, არ აკოცე და არც თჯახში  
შეიპატავე. მეგობრობა გათავდა ჩვენი“.

ო ფო ფ ი  
ვაი, საბრალოვ, თუკი მართლა ამასე ფიქრობ:  
თუმცა სათქვენოდ შეგულება ერთი ქალაქი  
მე მამულ ზღვაზე.

მ ე ჯ ე ლ პ ი დ ე  
არა ზღვასთან ვეთ დავსახლდებით.  
ხომ შეიძლება ადრე თიღათ, ხანაპირთშე,  
„პოლომინია“ დავინახოთ ავი ხომალდი.  
იქნებ ბერძნული მიგვასწავლოთ სადმე ქალაქი.

ო ფო ფ ი  
„დღათ მიდიხართ ლეპროონში“, ელიდას მხარეს!

მ ე ჯ ე ლ პ ი დ ე  
თუმც ლეპროონში ჯერ არ ვყოფილვარ,  
მელანთიოსმა შემაძულა მე ის ქალაქი.

ო ფ ო ფ ი

ნეტა იპუნტზე" რას იტყობდით, ლოკრიდას როგორ  
შეეწყობოდით?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ვგ მაკლია, გავხდე მასინჯი  
ოპუნტიელი. მილიონად არ დავთანხმდები.  
მოდო, ფრინველთა ცხოვრებაზე გვიამბე რამე,  
გეცოდინება.

ო ფ ო ფ ი

საამოა მათთან ცხოვრება,  
რაც მთავარია, არ გჭირდება არაფრად ქისა.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

თუ ეს ასეა, ბოროტებას აიცდენთ მრავალს.

ო ფ ო ფ ი

დაფრენთ ბაღებში, შევექცევით ქათქათა სისიმს.  
არ დაგველევა საკენკავად ყაყაჩო. მირტი.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ღროს ვატარებთო. თქვენ უნდა თქვათ, ამ ქვეყანაზე.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე (უფროად).

ოჰ, ოჰ!

ბრწყინვალე ბედი და უზომო ძალაუფლება  
გლით ფრინველებს. მომისმინეთ, ყველაფერს ვხედავ.

ო ფ ო ფ ი

რა მოგისმინოთ?

მ ი ს თ ე ტ ე რ ე

ის, რომ ფრინველს არ ეკადრება

პირდაღებული დაფრინავდეს აღმა და დაღმა.

ხოცა ცერცეტა, თავქარიან ადამიანზე

იკითხავთ, „ეს რა ჩიტიან?“ ასე მოგიგებთ

თქვენ ტელეასი: „ბრიყვია და თავცარიელი,

ფრუბლებში დაფრენს,

ერთ ადგილზე ვერ იცდის, ცმუკავს“.

ო ფ ო ფ ი

სამართლიანად იკბინება, ბახუსის მადლმა.

მოგორ მოვიქცეთ?

მ ი ს თ ე ტ ე რ ე

ერთ ქალაქში უნდა ვიცხოვროთ.

ო ფ ო ფ ი

თქვენ, ფრინველებმა, რა ქალაქი უნდა ავაგოთ?

მ ი ს თ ე ტ ე რ ე

მოგორ, თუ რაო! უგუნურო, უაზრო სიტყვავ!

შირს დაიხედე!

ო ფ ო ფ ი

დავიხედე.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
ცასაც ახედუ!

ო ფ ო ფ ი  
ავხედუ.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
ახლა გარშემო აბრუნე თავი!

ო ფ ო ფ ი (თავისთვის)  
ეს კაცი კისერს მომატესინებს.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
რა დაინახე?

ო ფ ო ფ ი  
არაფერი: და დაღრუბლები.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
სწორედ ეგ არის ფტინველების თავშესაფარი.

ო ფ ო ფ ი  
თავშესაფარი?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
სამყოფელი დაარქვით თუნდაც.  
მოგესხუნებათ, ცა ტრიალებს მიწასთან ერთად.  
ბრუნავს, ბრუნვაში უბრუნდება პირვანდელ ადგილს.  
ასე რომ, არსად გაგექცევათ თავშესაფარი.  
ქედლები უნდა აღიმართოს აქ, ამ ადგილზე.  
მერე ქალაქი დაერქმევა აქაურობას.

ხალხს ქანქლასავით დაიურვებთ, დაიმორჩილებთ,  
რე მოისურვეთ, სულს ამოხდით ღმერთებს შიმშილით.

ო ფ ო ფ ა

მერედა როგორ?

ი ს თ ე ტ ე რ ე

სულ იოლად: მიწიდან ცამდე  
პაწი სუფევს. ჩვენ რომ ასლა დელფოსის ტაძარს<sup>10</sup>  
ქივადგეთ, ქირა სომ ეკუთვნით ბეოტიელებს,  
პოდა, ღმერთებმაც გადუსადონ ფრინველებს ბაჟი.  
კეთილ ინებონ, თუ არადა, სურნელოვანი  
სამსხვერპლი კვამლი არ გაუშვათ ღმერთების კარად.  
დასშუდი იყოს მათთვის თქვენი ქაღაქის ზეცა.

ო ფ ო ფ ა

ბიჭოს, ეს თა თქვა!..

ვფაცავ კაკანათს, რაგვს და მახეს, ფაცერკოდს ვფიცავ.  
ბბბბბი ეოფილხარ, ჭკუის კოლოფი.

ჯვ' დამაცადე, სხვა ფრინველებს მოვეთათბირო.  
აბბ მენთან ვრთად იმ ქაღაქის ვიწყო შენება.

ი ს თ ე ტ ე რ ე

როგორ ავუსსნათ ჩვენი გვემა?

ო ფ ო ფ ა

ნუ გვედარდება.

მოშინაურდნენ, რა ხანია, ჩემი წყალობით,  
მათთან ვცხივრობდი, სასაუბრო ვასწავლე ენა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

მოგორდა შეძლებთ მათ თავმოყრას?

ო ფ ო ფ ი

ახლავე ნახავ.

აქ დამელოდე. იმ დაბურულ ბუჩქნარში შევად,  
მშვენიერ ბულბულს გავადვიძებ, მეუღლეს ჩემსას.  
ერთად მოვუსმობთ ჩვენ ფრინველებს, საკმარისია  
ჩვენი ძახილი გაიგონონ. აქ გაჩნდებიან.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

კასწი, ფრთოსანო საევეარელო, ნულარ აყოვნებ.  
თ. გევედრები, მოიარე გრილი ბუჩქნარი,  
ნაწი ბულბული გაადვიძოს გალობამ შენმა.

ო ფ ო ფ ი (მადის, ძხმის შინა სმა).

გადვიძე, სიცოცხლეო. გიხმობ, ძილი კმარა,  
აწკრიალე სიმღერები ნაკადულის დარად.  
არ თავდება მწუხარება დვთაებრივი ჩიტის,  
ჩვენს საბრადო ვაჟს დასტირი. ჩვენს დაღუპულ იტის  
ეს ჭაღა და ეს ფოთლები შენს გალობას ელის.  
აგლოვდე და ცანცანებდეს შენი ჭროლა ყელი.  
ვერ აკავებს შენს სიმღერას დრუბელი და ნისლი,  
შაღლა ადის, დიდი ზევისის საუფლოში ისმის.  
იქ, კრებულში, უცხო საკრავს ააკვნესებს თებე.  
გვიგზავნიან უკვდავები ლოცვასა და ქებას.  
თეთრ სიმებზე აპოლონი დააცურებს თითებს,

რომ წყდებოდეს ღმერთების ხმა ქვეყნის ყველა კიდე.  
ასეთია ნება ზეცის, ასე უნდათ ღმერთებს,  
რომ გადობა ბუღბუღისა მათთან ერთად ქლერდეს.

... ხმის ბუღბუღის გადობას მიმსგავსებული ხალამურის ხმა :

ევეღბიდე  
ო, ზეცსო, ჩიტიც ამას ჰქვია, რა ხმაზე გალობს;  
გარინდულ ჭაღას თითქოს თაფლი გადააღვარა.

პისთეტერე  
ეპეი!

ევეღბიდე  
რა იყო?

პისთეტერე  
ცოტა წყნარად.

ევეღბიდე  
ვითომ რადან?

პისთეტერე  
ისევ სიმღერის წამოწყებას ფიქრობს თოფოი.

ოფოფი (ხალამურის ხმას ააყოლებს სიმღერას)  
ოფ! ოფ! ოფ! ოფო-ფოფო!  
იო, იო, აქეთ, აქეთ, აქეთ!  
აქეთ, ფრინველებო, ჩემსავით ბუმბულით მოსიღნო.  
დატოვეთ სოფლები და შვრიის ყანები.

მარცვალის კენკვას თავი მიაწვებთ.

გუნდ-გუნდად წამოდით,  
ვით მარღად ნასროლი შურდული.  
მასმინვთ სიმღერა,

ეგ თქვენა საამო ქღურტული.  
ხმულვებში დახტიხართ ბაწია ფეხებით,  
ბელტებს ეფარებით, სტვენთ და იქექებით.

ტიუ-ტიუ-ტიუ-ტიუ-ტიუ-ტიუ-ტიუ.

ბაღებში რომ დაფრენთ

და სუროს ტოტებში დაემვბთ მარცვალს,  
თქვენც — ბასრი ნისკარტით ზეთისხილს რომ მარცვავთ,  
იჩქარეთ, იჩქარეთ, აქეთ გამოქანდით.

ტრიოტო-ტრიოტო-ტოტობრიქს.

თქვენ — ჭაობში რომ დაიდეთ ბინა,  
კოლოებს სანსლავთ და ზანტად ფრინავთ.

თქვენ — ვინც მინდვრებზე ფრენთ მარათონის<sup>1</sup>,  
გეძახით, გიხმობთ თქვენი ბატონი.

აქეთ, წეროებო, აქეთ ყარყატებო,  
ფრთები გაისწორეთ, დაიწყეთ მზადება.

თქვენც, თქვენც, ზღვის ტალღებზე ლაღად რომ დაფრენთ  
და გაშლილს მაგონებთ აფრებს,

იჩქარეთ იჩქარეთ, თუ გინდათ ახალი ამბავი.

აქ უნდა მოფრინდეთ ყველანი, ისე ვით ისრები,  
გვისმინოთ, წაიგროძელოთ კისრები.

ღღეს კაცი გვესტუმრა ბრძენი და ხნიერი,  
სიტყვითაც, საქმითაც ყოჩაღი — ეს არი,

ინქარეთ, ინქარეთ, ბჭობას დაესწარიო.

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა.

ტორო-ტორო-ტორო-ტორო-ტიკს

კიკაბუ-კიკაბუ!

ტორო-ტორო-ტორო-ტორო-ლი-ლი-ლიკს.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

თუ ხედავ ფრინველთ?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ვერა ვხედავ, აპოლონს ვფიცავ,

თუმცა რა ხანია ცას შევყურებ პირდაღებული.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ეტყობა, ტყუილად შეულოცა ჩვენმა ოფოფმა,

იმ ბუნქნარებში როჭოსავით რომ ტიხტიხებდა.

პ ა რ ო დ ი

(კრთიმეორის მიყოლებით მოფრინავენ ფრინველები, რომელთაც თან-დათანობით დგება ქორო).

პ ი რ ვ ე ლ ი ჩ ი ტ ი

ტორო-ტიკს, ტორო-ტიკს!

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ხედავ, ჩვენკენ მოცუნცულებს რომელიღაც ფრინველი.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ფარშავანგი ხომ არ არის, რა ჩიტია ნეტავი?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

(მიუბრუნდება სცენაზე დაბრუნებულ ოფოფს).

მოდო, მთავარს შევეკითხოთ, რა ჩიტია, ოფოფო?

ო ფ ო ფ ი

იშვიათი ფრინველია, იშვიათად შეხვდები.

უფრო ჭაობს ეტანება.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ლამაზია, წითელი.

ო ფ ო ფ ი

იმიტომაც ეძახიან, წითელფრთიან ფლამინგოს.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ჰე, ძმობილო!

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

რა გაყვირებს?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

აგერ მოდის მეორეც.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

მართალს ამბობ, შორეული ქვეყნებიდან იქნება.

ლამის მოგვი მოგვაგონოს, ისე დინჯად მოგოგავს.

ო ფ ო ფ ი

სპარსი ჰქვია.

პ ის თ ე ტ ე რ ე  
სპარსიაო? ეს რა მესმის, ჰერაკლევ?  
ეგ თუ მართლა სპარსელია, სად დატოვა აქლემი.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
ეს ვიღაა? დააკვირდი, ყალყზე უდგას ქოჩორი.

პ ის თ ე ტ ე რ ე  
ცხადია თუ სიზმარია? კიდევ ერთი ოფოფი?  
შენ მეგონე ერთადერთი.

ო ფ ო ფ ი  
ჩემი შვილიშვილია,  
ვაჟი გაზღავთ ფილოკლესი<sup>12</sup>, ოფოფია ჩემსავით.  
კალიასის<sup>13</sup> მოდგმასაც ხომ მოჯირითედ იცნობენ.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
მაშ, ეს არი კალიასი? ასე როგორ გაპუტეს?

ო ფ ო ფ ი  
ჯიშინი ფრინველია, გაფცქენეს პარაზიტებმა.  
არც დედლებმა მოასვენეს, გააცალეს ბუმბული.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
აი, ერთი ჩიტუნიაც. შვენის ჭრელი ქათიბი.  
რა სახელი ჰქვია ნეტავ?

ო ფ ო ფ ი  
მუცელქორას უხმობენ.

ე ვ ე ლ პ ი დ ე  
ნუთუ კლეონიმესთანა<sup>14</sup> ღორმუცელა სხვაც არი?

3. არისტოფანე

ი ს თ ე ტ ე რ ე

კლეონიძე? ის სომ ტყეში დატოვებდა ბიბილოს.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

რად სჭირდებათ ნეტავ ფრთოსნებს ამოდენა ქორეები<sup>15</sup> სირბილს სომ არ აპირებენ, შეჯიბრს სომ არ მართავენ!

ო ფ ო ფ ი

კარიულებს თუ ვენდობით, მყუდრო საცხოვრებელად მთის ქონორი მიაჩნიათ, იქ სახლობენ ოდითგან.

(ქორთის ოცდაათხევ წევრი შეშადის ორქესტრაზე.)

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

პოსეიდონს! დაგვიფარე! რა ღაშქარი მოგვაწყდა, ვეღარ ვითვლი რამდენია!

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ფერტ მე, ვფიცავ აპოლონს.

ვასანძრუვი აღარ დარჩა, გადაფარეს ორქესტრა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ეს გნოლია.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ესეც წერო.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

უკან იხვი მოყვებათ.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ეს ნამდვილად ალკუნია, ალკუნს რა ეფარება?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ნამგალაა.

ეველ პიღე

ნუთუ ჩიტიც გამოდგება მომკელად?

პისტეტიერე

როგორ არა, მკის და ჰარსავს, როგორც კარგი დალაქი<sup>16</sup>.

ოფოფი

ესეც ჭოტი.

ეველ პიღე

თუ კაცი ხარ, ბუვის მიყავს ათენში?<sup>17</sup>

ოფოფი

ჭორი, ძვრა, შევარდენი, ჩხიკვი, გვრიტი, შროშანი, ლაჟო, ჩხართვი, კვირიონი, მოლაღური, ტოროლა, მწყერი, სკვინჩა, ლობემძვრალა, გუგული და ქედანი, საფათი და სასარაკი, არწივი და მიმინო.

ეველ პიღე (მღერის).

პო, პო, პო, პო, რამდენია, შაშვი დედალ-მამალი,  
კოდალა და ჩიტბატონა... ყიკყიკებენ, დახტიან...  
დაუღიათ ნისკარტები... რა ბოროტად გვიმზერენ,  
შეჭმას ხომ არ გვიპირებენ?

პისტეტიერე

ზეც შენსავით ვკანკალებ.

კორიფე

სა-სა-სა-სა სად წავიდა, ვინც გვიხმო და შეგვეყარა,  
დაგვენახოს რა შვილია, გვითხრას სად იკენება.

ო ფ ო ფ ი

აქვე ვიცდი, ან მწვევია შეგობრების ღალატი.

კ ო რ ი უ ე

კა-კა-კა-კა კარგს რას გვეტყვი, რითი გა გა გვანახებ?

ო ფ ო ფ ი

ხიამე და სარგებელი თრივ ერთად მოგვლით.

ჩვენ გვესტუმრა ორი ბრძენი ჭკუით დატენილები.

კ ო რ ი უ ე

ვინ? სად? რადის? სადაური? მითხარ, ვაიმელია?

ო ფ ო ფ ი

მთხუცები კაცთა მოდგმის, დღეს გვეწვავენ უფროდ

კაცდღებით, იმისთანა გეგმა შემოგვთავაზეს.

კ ო რ ი უ ე

ფამცემო და მოდიდატევ, რა ღასუარი ჩაგვეცი.

ო ფ ო ფ ი

ვთხოვ, დაწენათდე, მომისმინო

კ ო რ ი უ ე

მაინც რაო, რა ვითხრეს?

ო ფ ო ფ ი

ამ ორ მოხუცს, აქ რომ დგანან, ჩვენთან უნდათ ცხოვრება.

კ ო რ ი უ ე

მერე? მერე? შენ დათანხმდი?

ო ფ ო ფ ა

დავთანხმდი და კამაყოზ.

ქ ო რ ი ფ ე

ამ კაცუნებს შევეგუოთ?

ო ფ ო ფ ი

შეეჩვევით. როგორც მე.

ი ს ტ რ ო ფ ი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ვ ვ ა რ ქ ო რ ო

ავაფაი. ვაი. ვაი. ვაი!

უნამუსოდ გავყვიდა, უსინდისოდ გავგცა.

მერე როგორ გვიყვარდა. რა პატივში გყავდა.

ჩვენი ლუკმა დავუთმეთ, თავზე ვეკლებოდით.

პიტყვა ურცხვად გატენა, ფრინველთ ფიცი გატენა.

რა თინებს გვიმზადებს, რა დამლუპველ ხრიკებს.

გაგვიმეტა, გაგვწირა ჩვენმა დამაქცევარმა,

ჩვენი გვარის მოსისხლე მტრების ხელში ჩაგვავდო.

ქ ო რ ი ფ ე

იფოფს მერე გავუსწორდეთ, მოღალატეს, ბაქიას,

ჩვენი კი ამათ მივესიოთ, ამოვკორტნოთ თვალები.

აუფ დაფელითავთ ბებრუხანებს.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ვაი. სულო, ცოდვილო.

ვ ვ ე ლ პ ი დ ე

შენ დაშლუბე, თას მესწოდი, რისთვის წამოძიევანს  
ამ ოხრებთან!

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

დამეზარა მარტოდმარტო წამოსვლა.

ვ ვ ე ლ პ ი დ ე

ცრემლი გინდა მადვრევინო?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ჩიხი ცრემლი, რა ცრემლი.

თვალები თუ ამოგვიჩინეს, ცრემლი სადღა გვიქმება.

### 1 ა ნ ტ ი ს ტ რ ო ჟ ა

მ ე ო ვ ნ ა ხ ე ვ ა რ ქ ო რ თ.

წინ! წინ! წინ და წინ!

აბა ჩქარა, შევუტიოთ, დავეცეთ!

ფრთვები ფართოდ გაუშალოთ, მოვაქციოთ აღყვანი  
ჩისკარტები ავლესოთ!

დუშმანს სისხლი ვადინოთ!

მომალადეს თავხედობა ვანანოთ!

ვერც ღრუბლები დაიფარავთ, ვერც ბნელი ტყე, უღთანო,

ვერც ტალღები ოკეანის, თეთრად გადაფოფრილი.

ხუდ ერთია, ვერსად, ვერსად წაგვივლენ.

კ ო რ ი ფ ე

რალას უცდით? ბერიკაცებს დასცხეთ, ჩაენისკარტეთ.

ფეხოსანთა მეთაურო, შენ მარჯვნიდან მიჭყევი!

ეველ პიდე  
ხელუხეობი, სად წავიდე.

პისტეტერი  
საგაინძრე, შე ბრიფო.

ეველ პიდე  
სომ დამწიწკნეს ძელებიანათ.

პისტეტერი  
სად აპირებ გაქცევას?  
გერა სიფავ, ალყაში ვართ?

ეველ პიდე  
მართალი სარ, რაღა ვქნა?

პისტეტერი  
ნაბიჯი არ მოიცვალო! ჰა, ქოთანს დაიჭი<sup>ლ</sup>,  
სიფავ დაფტგეთ, იერში ერთად მოვიგერიოთ.

ეველ პიდე  
ქოთანი რა ჭირად მინდა:

პისტეტერი  
ჭოტი რომ არ დაგეცეს.

ეველ პიდე  
ნასაფ გრძელი ნისკარტი აქვს?

პისთეტერე  
ეს შამფური აძგერე.  
დაჩხვლიტე და გააქციე.

ეველ პიდე  
თვალებს? თვალებს რა ვუყო?

პისთეტერე  
ან მათლაფა აიფარე, ან ტაფა და საცერი.

ეველ პიდე  
ბრძენი ვარო, შენ უნდა თქვა, მიხსენი და ეგ არის,  
ომის ღმერთიც შენ ყოფილხარ, ნიკიასი<sup>19</sup> დაჯაბნე.

კორიფე  
აბა, მარდად! ატრიალეთ ნისკარტები, კლანჭები.  
ჯერ ქოთნები დაუმტვრიეთ; კაწრეთ ფატრეთ, დაგლიჯეთ  
(იწყება ჩსუბი, წეწვა-გლეჯა.)

ოფოფი  
რას უპირებთ, უგუნურებო, ორ საცოდავ ბერიკაცს,  
სასიკვდილოდ გაიმეტეთ. ნუთუ მართლა არ იცით ---  
თრივენი ჩემი ცოლის მამულიდან არიან.

კორიფე  
მგელი როგორ შევიცოდოთ, როგორ უნდა დავინდოთ?  
არსად მე არ მეგულება მტერი უფრო საშიში.

ოფოფი  
თუმც ბუნება არ უვარგათ, კეთილი აქვთ აზრები,  
კეთილ რჩევას გვპირდებიან, სამეგობროდ მოსულან.

### კორიფე

ჩას გვეტყვიან სასიკეთოს, ან რა რჩევას მოგვცემენ,  
ჩვენი სისხლის მსმელებია, მტრები მამა-პაპათა.

### ოფოფი

მტერი უფრო მეტს გასწავლის, ძველთაგანვე ასეა,  
სიფრთხილესაც მტერთან იჩენ, უფრო მეტი ფასი აქვს  
მის გაკვეთილს, ამიტომაც, მტერს უყურე ბრაზიანს.  
მტრისგან მოდის კედლების და ხომალდების შენება,  
დაცულია ქონება და ბავშვი — სახლის მშენება,  
მეგობარს კი ეს არ ძალუძს, კარგად მოგეხსენებათ.

### კორიფე

ამ ხალხს უნდა მოვუსმინო, რაც იქნება, იქნება,  
ზოგჯერ მტერსაც შეუძლია ბრძნული აზრის მიგნება.

### პისტეტერე (ვევლიდეს).

უკვე დაცხრნენ, დაშოშმინდნენ, დავიხიოთ ნელ-ნელა.

### ოფოფი

არ გქონიათ ჩემი ხატრი, შემარცხვინეთ სტუმრებთან.

### კორიფე (ოფოფს).

ეს პირველი შემთხვევაა, დღეს პირველად გეურჩეთ.

### პისტეტერე

ვხედავ — დამცხრალა ბრძოლის ყიჟინა.

განზე გადავდოთ ქოთანნი, ტაფაც,

მამფური შუბად გვეჭიროს ხელში,  
თითქოს სამხედრო ბანაკში ვიყოთ  
და სიმაღლიდან ჩიტის გაფრენის,  
შემოგარენი ვათვალიეროთ.

ე ვ ე ლ ბ ი დ ე

თუ დავიხოცეთ შეტაკებაში,  
ვიცოდე მაინც სად დაგვმარსავენ.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

არ აგვაცდენენ ქოთნის მოედანს<sup>20</sup>  
და სახელმწიფოს ხარჯზე მოხდება  
ჩვენი დაკრძალვა. სარდლებს კი ვამცნოთ,  
რომ ფრინველეთის ველზე<sup>21</sup> დავეციოთ  
უთანასწორო, სასტიკ ბრძოლაში.

კ ო რ ი ფ ე

დაიხიეთ ახლავე! ჩქარა მწკრივში დადექით!  
თავისუფლად! ბრაში დასდეთ მიწაზე.  
ვით მხედრები დააწყობდნენ იარაღს.  
ახლა ვკითხოთ — ვინ არიან, სადაურნი,  
აქ რა მიზნით მოვიდნენ.  
ჰე, ოფოფო, შენ გეძახი.

ო ფ ო ფ ი

რა გაუწყო, რის გაგებას ინებებთ?

კ ო რ ი ფ ე

რა ხალხია, ან საიდან მოსულან.

ო ფ ო ფ ი

სიბრძნით განთქმულ ელადიდან არიან.

კ ო რ ი ფ ე

მითხარ — ეჭვებს გამყარე,  
როგორ მოხვდნენ ამ მხარეს  
მგზავრნი უცხო გზისანი,  
რაა მათი მიზანი?

ო ფ ო ფ ი

მართლაც გასაკვირველთა  
მოსწონთ ყოფა ფრინველთა;  
არ მოსულან მსტოვრებად,  
თქვენთან უნდათ ცხოვრება.

კ ო რ ი ფ ე

განზრახვაა ქებული,  
რა აქვთ ნაფიქრებული?

ო ფ ო ფ ი

რაც უზომოდ კარგია  
და ფრინველებს არგია.

კ ო რ ი ფ ე

ჩემგან რას ელოდება,  
რა ღხინს და ნეტარებას?  
მტერს ასწავლის გოდებას  
თუ მეგობარს დაჩაგრულს  
ჭირში დაეხმარება?

ო ფ ო ფ ი

დიდს იძლევა იმედებს,  
ღამის დაღვას ტაძარი,  
ფრინველთათვის იმეტებს —  
დაბლა, მაღლა, გარშემო  
დიდებული რაც არი.

კ ო რ ი ფ ე

დიდი ბრიყვი ყოფილა.

ფ ო ფ ი

ჭკვიანია ყველაზე.

კ ო რ ი ფ ე

თუ აქვს ტვინის ნასახი?

ო ფ ო ფ ი

ეშმაკია მეღასებრ,  
ფარაულა სრიკებია, აოც ჭკუა და მოხერხება აკლია.

კ ო რ ი ფ ე

ქარა გვითხრას, გვითხრას რა აქვს საო კმედი,  
შენმა სიტყვამ მოთმინება წამაითვა,  
მზად ვარ სტუმარს ვუსმინო.

ო ფ ო ფ ი (მონებს).

აქვენ, ეი! სახლში შეიტანეთ იალოდები,  
გერიის თავზე ჩამოკიდეთ, სამზარეულო

მყუდრო კედელზე. იქვე დარჩეს, უმჯობესია.

(ისტეტირებს.)

შენ კი აქ მყოფებს მოახსენე, რისთვის შევკრიბეთ  
სახელდახელოდ.

ისტეტირე

კი, ოღონდაც ერთი პირობით,

ჟიცი დამიდონ, სიტყვა მომცენ პატიოსანი,

სოგორც ბებერმა მაიმუნმა, ხმლების მჭედავმა,

დაანამუსა ცოლი, რათა არ დაეკბინა,

არ დაეკაწრა, არ ეჩმიტა, არ ძგერებოდა...

ეველებიდე

სად? (მომრაობით.)

ამ ადგილზე? უკაცრავად!

პისტეტირე

თვალუბზე ვამბობ.

კორიფე

რა გაეწყობა, თანახმა ვარ.

პისტეტირე

მაშ, დაიფიცე.

კორიფე

ფიცავ და მინდა, მსაჯებმაც და მაცურებლებმაც  
ჩვენ მოგვანიჭონ გამარჯვება.

ბ ი ს თ ე ტ ვ რ ე

დაე, ასრულდეს!

კ თ რ ი ფ ე

შერცხვენის მსოფლივ მსაჯულების მექნეს იმედო

თ ფ ო უ ი

სმენა იყოს და გაგონება, ჯარისკაცებო,

წადით სახლებში, თან წაიღეთ იარაღები.

დაიშაღენით, დაელოდეთ ბრძანებას ახალს.

ა ბ ო ნ ი

რ ღ ა

ბ ა რ ვ ე ლ ი ნ ა ს ე ვ ა რ ქ ი ა რ თ

ადამიანი ბუნებით

ცრუა და გაიძვერაა,

დაუნდობელი, ცბიერი.

შაინც მზადა ვარ გისმინო.

იქნებ ისეთი რამ იცი,

რაიც ჩვენ, უბირ ფრინველებს,

სიზმარშიც არა გვსმენია:

გვამცნე ძალა და სიკეთე

ან საარაკო საქმენი...

ნუ დაგვიძალავ, მითხარი.

თუ გაგვახარებ, იცოდე.

ლხინი და ბედნიერება  
გვექნება შენი ზიარი.

კორიფე

წვრილად მოგვიყევი სათქმელი შენი, გოხოვთ, ადამიანო,  
ნურა გედარდება, სიტყვას არ გადავალთ პირველნი.

ეპირემა

პისტეტერე

დიდხანს იტრიალა სხეულში სიტყვამ, დამწიფდა, აფუვდა.  
მოზელას უცდის. გვირგვინი დამადგით<sup>22</sup>, დაწული,  
დამისხით წყალი. გადამაბანიეთ ხელები.

ეველპიდე

სუფრის გაშლასაც მალე მოისურვებ, შენ ისე გეტყობა.

პისტეტერე

რის სუფრა, ფრინველებს სიტყვა უნდა ვუთხრა, მძლავრი  
და ხმიერი,  
რომ შევძრა ყველანი. ჰოი, რომ იცოდეთ როგორ  
მებრალეებით.

ადრე თქვენ მეფენი იყავით.

კორიფე

მეფენი? ვისზე ვსელმწიფობდით?

პისტეტერე

ჩემზე და ამაზე, თვით ზევსზე, მის ტახტსაც ჩრდილავდით.

ზევსზე და კრონოსზე და ტიტანებზედაც თქვენა ხართ  
უხნესი

მიწაზეც.

კოროფე  
მიწაზეც?

პისტეტერე  
თებვა მოწამე.

კოროფე  
ეს აღარ ვიცოდი.

პისტეტერე  
ეზოპეს იგავებს რომ არ კითხულობდი, ეს იმის ბრალია.  
ყველაზე ადრე ტოროლა გაჩნდაო, მოგვითხრობს ეზოპე.  
ჯერ მიწაც არ იყო. ჩიტს მამა მოუკვდა, დაობლდა  
საბრალი.

მიწაკი არ იყო. ოთხი დღე ჰაერში ესვენა ცხედარი.  
მეხუთე დღეზე კი თავზე დაიმარხა ტოროლამ მშობელი.

ეველპიდე  
აჰ. გასაგებია, თავში გაუთხრია წინაპრის საფლავი.

პისტეტერე  
რადგან ღმერთებზედაც, რადგან მიწაზედაც ადრე  
გაჩენილხართ,  
თქვენია მეფობა, ტახტსა და გვირგვინში ვინ შეგეცილებათ.

ეველ პიდე (ანიშნებს პისტეტერეზე).  
კარგი იქნებოდა, ამას გაეზარდა ნისკარტი,  
რალაც მეეჭვება, ზევსმა საბრძანისი კოდალას დაუთმოს.

პისტეტერე  
ოდესლაც ქვეყანას ფრინველნი მართავდნენ და არა  
ლმერთები.  
თუ გნებავთ, უამრავს მოვიტან მაგალითს. ავიღოთ მამალი.  
იყო დრო, სპარსელებს არც ქსერქსე ახსოვდათ, არც  
მეგაბატები;  
მამალს მორჩილებდნენ, ის იყო სპარსეთის მრისხანე  
მპყრობელი.  
სპარსეთის ფრინველსაც ამად ეძახიან, მეფეა ყოფილი.

ეველ პიდე  
ამიტომ თუ დადის, ვით მეფე, ყინჩად და ზვიადად,  
ფრინველთა მოდგმაში ერთადერთს ამშვენებს ტიარა.

პისტეტერე  
დღემდე ვემონებით მამლის ძლიერებას უწინდელს;  
მისი დაყვილება და თვალის გახელა ერთია,  
მყის დგება საშრომლად — მჭედელი, მექოთნე, ხაბაზი,  
თერძი თუ დურგალი, მექისე, საკრავთა ამწყობი...  
იცვამენ, ბინდბუნდში გარბიან...

ეველ პიდე  
ეგენი მე მკითხე.  
ერთხელ მოსასხამი დაგკარგე ძვირფასო, შალი ფრიგიული.

ბავშვის ძეობაზე ვიყავ მიწვეული და სუფრის გაშლამდე  
ორიოდ სასმისი დავცალე კაცურად, იქვე ჩამეძინა.  
უეცრად ყიყლიყოს ძახილი ჩამესმა, ვიფიქრე, გათენდა  
წამოვხტი, შინისკენ მოვქუსლე, ის იყო გავშორდი  
ქალაქის კარიბჭეს, ვიღაც ავაზაკმა კეტი დამიშინა.  
დავვარდი და, სანამ მე ღრიალს მოვრთავდი, მანტია ამად

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ისიც გავინსენოთ, ძერა რომ ბერძნების მუფედ ითვლებოდ

კ ო რ ი ფ ე

ძერა და ხელმწიფე? ბერძნების?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ნამდვილად. ჩვევაც კი შემოგვრჩა;

ძერას რომ თვალს მოვკრავთ, მაშინვე მიწაზე გავწვებით.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ასეა, ღმერთმანი. ერთხელ დავინახე — ძერა ბოინობდა,

მყის მიწას გავეკარ და პირდაღებული ფრინველს

მივაჩერდი,

შიშით გათანგულმა ფული გადავყლაპე, შინ ხელცარიელი

დავბრუნდი

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

გუგულს კი ეგვიპტის დედოფლად იცნობდნენ და

ფინიკიასაჟ

მართავდა. „გუ-გუს“ რომ იტყოდა, ველად გადიოდნენ

ფინიკიელები. პურს მკიდნენ, ოქროსფერს იღებდნენ

მოსავალს.

ეველებიდე

მიტომაც ამბობენ: „გუგულო, კაყე და თესეო“.

პისტეტერე

თუმცაღა ელადის ქალაქებს მეფენი მართავდნენ,  
ვთქვათ მენელაოსი ან აგამემნონი<sup>24</sup>. მათ კვერთხზე ნიადაგ  
ისხდნენ ფრინველები, ძღვენი ხელმწიფური მათაც  
ერგებოდა.

ეველებიდე

პირველად გავიგე, საოცრად მიკვირდა, როს ტრაგედიებში  
ფრინველით გამოსულს, მეფურად მოარულს ვხედავდი  
პრიამოსს<sup>25</sup>.

ქრთამს ელის ფრინველი, იცდის, ლისიკრატი<sup>26</sup> როდის  
გამოჩნდება.

პისტეტერე

რას ნახავ, თქვი, უფრო საკვირველს, ზევსი რომ ზევსია,  
იმასაც  
არწივი<sup>27</sup> დაუსვამს გვირგვინზე, ნიშნად უმაღლესი მეფობის.  
თებე, ვით მსახური, შევარდენს ატარებს, ათინას რჩეული  
ჭოტია.

ეველებიდე

ასეა. ეა მაინც, რად ვერ იშორებენ ფრინველებს?

პისტეტერე

მსხვერპლის შეწირვისას ღვთაებას შიგნეულს ვაჩეჩებთ  
ხელებში;  
ზევსს კი ურჩევნია, ეს შიგნეულობა ფრინველმა  
დაძიძგნოს.

ძველად ფრინველების სახელს იფიცავდნენ. ღმერთი ვის  
ახსოვდა

ე ვ ე ლ პ ი დ ე

გრძნეული ლამპონი<sup>28</sup>, როცა იტყუება, დღესაც ბატს

იფიცავს

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

უწინ ფრინველებს წმინდანებად რაცხდნენ ყოველნი:

დღეს ცუდლუტებად მიაჩნიათ და ბაცაცებად. —

როგორც შეშლილებს, ქვით და ჯოხით ვრეკებიან.

აქ, ამ ღვთაებრივ ჭალებშიაც არ გასვენებენ.

მახეს გიგებენ, თქვენს გასაბმელს ჭიმავენ ბადეს.

თქვენთვის მზადა აქვთ სატყუარა, მარყუჟი, სხაპი...

ჯგროდ დაგიჭერენ და ბაზარში გაგაქანებენ.

მუშტრები ურცხვად ამოწმებენ სიმსუქნეს თქვენსას.

ხომ არ გგონიათ, რომ უბრალოდ შეგწვავენ? არა!

ყველს დაგათლიან, შეგბრაწავენ ერბო-კარაქში,

ქმარს დაგასხამენ, მოგაყრიან დაკებილ მწვანელს,

მოტკბო საწებელს შეკმაზავენ — თბილს, სურნელოვანს;

გადაგამხობენ, ერთიანად დაგაწურავენ,

თითქოს ლეში ხართ უსარგებლო, გადასავდები.

ა ნ ტ ო ღ ა

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ქ ო რ ო

ო, ადამიანო,

სიცოცხლეს გვიშხამავს შენი ხმის მოსმენა.

მე მოვთქვამ, ვქვითინებ.  
რად არ შეგვიინახეს უღირსმა მამებმა  
ის ძველი პატივი,  
ჩვენი წინაპრების სამეფო.  
მათ ქარს გაატანეს დიდება.  
დღეს კი შენი თავი გვაჩუქა განგებამ,  
მხსნელად მოგვევლინე.  
უნდა დავვიფარო მეც, ჩემი ბარტყებიც,  
შენ ხარ ერთადერთი იმედი.

კო რ ი ფ ე

თქვი, რა წყალში გადავვარდეთ, ან რა ხერხი ვიღონოთ,  
გვითხარ, როგორ დავიბრუნოთ ძველი ძალაუფლება?

ა ნ ც ე ა ი რ ე მ ა

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ფრინველთა ქალაქი უნდა ააშენოთ და ერთად იცხოვროთ.  
სივრცე და ჰაერი უნდა შემოზღუდოთ აგურის კედლებით,  
სიმაღლით, სიმაგრით არ ჩამოუვარდეს ბჭეს ბაბილონისას.

კ ვ ე ლ პ ი დ ე

პოი, გიგანტებო! რა გასაოცარი იქნება ქალაქი!

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

კედლებს რომ აღმართავთ, ზევსს ძალაუფლება მოსთხოვეთ  
კუთვნილი,

თუ გაძალიანდა, უარი თუ გითხრათ, არ მოებოდაშოთ.  
ომით დაემუქრეთ. ღმერთებიც დატუქსეთ სასტიკად.  
ფრინველთა ქვეყნიდან კვლავ აღარ დაეშვან სამზრუსოდ.  
აღარ მიაკითხონ ალკმენეს, ალოპეს, სემელას<sup>29</sup>,  
თუ არ დაიშადეს. ისე დაუდაღეთ მსუნაგებს სასირცხლო  
რომ ქალის აღუბისი არასდროს ინდომონ ღმერთებმა.  
ადამიანებსაც უნდა გაუგზავნოთ ფრთამალი დესპანი.  
აცნობეთ, დღეიდან ფრინველნი მეფობენ და არა

ღმერთები.

მსხვერპლი ჯერ ფრინველებს შესწირონ, ისინი  
მეტე გაიხსენონ. ვცადეთ ყოველ ღმერთს ეხლავ

დაუწყვილოთ

წიტი შესაფერი, რომ ერთად მიიღოთ კაცთაგან ზვარაკი.  
სანამ აფროდიტეს ძღვენით ვაახარებ, საკენკი დაუყარე

მელოტას.

პოსეიდონს ხარი თუ გინდა დაუკლა. იხვი დააპყრე

მანამდე.

თუ ფიქრობ, ჰერაკლეს მიაგო პატივი, ნაზუქი არგუნე

თოღაას.

შეფე შევსს ცხვარს უკლავ. ოქროსქონრიანი ნიბლია

რითია ნაკლები.

კოლო დაუკალი ნიბლიას, მამალი. ვიდრე შევსს ერკეშალს

შესწირავ.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

კოლო დაუკლანო? ეს მესმის. დე, შევსმა იტყუოს, რამდენიც  
ენებოს.

ხორი ფე

ჩქებს ნეტა ღმერთებად რთვინდა ჩავეთვლიან?

ზომ დაგვინახავენ -- ბუმბული გვმოსავს და დავფრინავთ.

პისთეტე რე

გნუ გედარდებათ. ჰერმესიც<sup>30</sup> ბუმბულით მოსილი  
ღმერთია.

თქვენსავით დაფრინავს. ფრენა სხვა ღმერთებსაც კარგად  
ეხერხებათ.

დაფრინავს ეროსიც, ნიკეს<sup>31</sup> კი ფრთები აქვს ოქროსი,  
პომეროსს დამფრთხალ მტრედს აგონებს მფრინავი ირიდა.

ეველპიდე

თვით ზევსის ელვასაც ფრთები აქვს, ფრთებითვე მოფრინავს  
ჩვენამდე.

კორი ფე

ვთქვით და უმეტარმა ადამიანებმა არაფრად ჩაგვაგდეს  
და ისევ ღმერთების თაყვანი ირჩიეს?

პისთეტე რე

თუ ასე მოხდება,

ბელუტას, ჭილყავის ლაშქარმა აიკლოს იმითი ყანები,

როს დაიშევიან, ადგნენ და დემეტრას<sup>33</sup> მოსთხოვეთ

მარცვალი.

ეველპიდე

ერთბაშად არ მისცეს. ქალღმერთს ეხერხება ხალხის  
გაწბილება.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

მალე რომ დარწმუნდნენ ადამიანები ფრინველთა ძალაწ  
თვალი ამოჩიქნონ ყვავებმა ხარ-კამეხს, ცხვარსა და  
სახელად

აპოლონს მოუხმონ საქონლის მკურნალად და ფულიც

უსად

ვ ვ ე ლ პ ი დ ე

ხარების გაყიდვა მაცალეთ. ყვავები მერე მიუსიეთ.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

თუკი დედამიწას, კრონოსს და პოსეიდონს გადატეს,  
ხალსი ბევრს იგემებს სიხარულს.

კ ო რ ი ფ ე

შენ ერთი მითხარი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

თუნდაც ის რადა ღირს, კალია ვენახს რომ ვერ გაეკარება  
ნისკარტალესილებს ვერსად გაექცევა ბუსა და წიწკანას.  
ლეღვს ვერას დააკლებს ტკიპა და მატლები, ვერც

ჭიანჭველები.

ხოჭოს და თობობას შაშვები გაწყვეტენ, არ გაახარებენ.

კ ო რ ი ფ ე

კი მაგრამ, ქონებას რა ვუყოთ? კაცთათვის ესაა მთავარი

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

უნდა უმკითხაონ და ყველას სიმდიდრე უსურვონ ჩიტებმა,  
ვაჭარს სარფიანი აღუთქვან ვაჭრობა, მოგება ზღაპრული,  
და მისცენ იმედი ზღვიდან დაბრუნების.

კორიფე

ეს ვისგან შეიტყოს?

პისტეტერე

ვიდრე წავიდოდეს, ჩიტები ეტყვიან ღირს წასვლა თუ არა.  
წინასწარ ამცნობენ, საგზაოდ როგორი იქნება ამინდი.

ეველპიდე

ღღეს გემს ვყიდულობ, სავაჭროდ მივდივარ, მომწყინდა  
მე თქვენთან ლაყბობა.

პისტეტერე

კაცს ჩიტი ასწავლის, თუ განძი სად არის დაფლული.  
ფრთოსნებმა იციან — ვერცხლი სად მარხია. ანდაზაც  
არსებობს:  
„ფრინველთა გარდა, ვერავინ მიაგნებს განძს, ჩემგან  
დამარხულს!“

ეველპიდე

გემს ვყიდი, თოხს ვებებ. ოქროთი სავსე მოვთხარო ქოთანნი.

კორიფე

ვფიქრობ, ჯანმრთელობას ვერვის მივანიჭებთ, ეს ღმერთთა  
საქმეა.

პისტეტერე

კაცის სიხარული, კაცის ჯანმრთელობა — მისი ქონებაა.  
ავად მაშინ არის, თუ ვერ მოერია საქმეს და ცხოვრებას.

კორიფე

ან თუნდაც სიბერე მათ როგორ ვაშორო, ესეც ხომ ოლიმპოს  
ხელშია?

იქნებ ჯობს ნორჩებად დავხოცოთ ყველანი?

პისტეტერე

დანოცვა არა ღირს.

ერთ სამას წელიწადს ხომ წაუმატებენ მოკვდავებს  
ფრინველნი.

კორიფე

კი მაგრამ, საიდან?

პისტეტერე

საკუთარ წლებიდან. ნუთუ დაგავიწყდა,  
ყვავი რომ ხუთჯერ მეტს ძლებს ადამიანზე?

ეველპიდე

დალახვროს. ფრინველთა ტახტი მიორჩევნია ღმერთების  
სამართალს

პისტეტერე

ათასჯერ სჯობია.

ფრინველებს ტაძრის აშენება არა სჭირდებათ,

არც გუმბათები, არც კარიბჭე მოოქროვილი.

ხე და ბურქია მათი ბინა, თავშესაფარი.

კეთილშობილი ფრინველების განსასვენებლად,

წმინდა ალაგად ზეთისხილი ამირჩევია.

არ დაგვჭირდება ამონსა<sup>34</sup> და დელფოსში წასვლა

სამარჩიელოდ. ზეთისხილის ან ბურქის ძირას

დაყერი ქვას, ხორბალს. მერე ლოცვად აღვაპყრობთ  
ხელებს.

რალა დაგვიშლის სარგებელი მოვთხოვით ფრინველთ  
ჩვენი ზვარაკის, ჩვენი ძღვენის სამაგიეროდ.

სწრაფი ფრთოსნები დიდხანს აღარ გვალოდინებენ.

გაგვამდიდრებენ ერთი მუჭა ხორბალის ფასად,

მინდეთ, ამოდ არ ჩაივლის ვედრება ჩვენი.

კო რ ი ფ ე

მტერი მეგონე უბოროტესი, უერთგულესი ყოფილხარ

ბრძენი,

შენს დარიცვბას ფრინველთა მოდგმა კანონად ჩათვლის

ამიერიდან.

ქო რ ი

მალამო იყო შენი სიტყვები,

სული ჩაგვიდგა, გაგვასპეტაკა.

დავდოთ პირობა, გავერთიანდეთ.

დაურღვეველი ჩვენი კავშირი

და შეთანხმება საკმარისია —

ერთად ვეკვეთოთ საძულველ ღმერთებს.

ტანტს დაგვითმობენ ოლიმპოს მკვიდრნი,

დაგვიბრუნდება ნანატრი კვერთხი.

კო რ ი ფ ე

თუკი ღონეზე მიდგება საქმე, გამოგვიყენე, როგორც

გენებოს

და თუ დაგვიჭირდა ჭკუა და ხერხი, შენი იმედი გვექნება

ყველგან.

ო ფ ო ფ ი

ზევსს გეფიცებით, დრო არ არის ახლა მთქნარების,  
ნიკიასივით ვერ დავიწყებთ უაზრო ყოყმანს.  
რადას ვაყოვნებთ, აქედანვე შევუდგეთ საქმეს.  
თუმცა მანამდე ჩემი ბუდე მინდა გაჩვენოთ —  
ლამაზად, რბილად ჩაფენილი ფიჩხი და თივა.  
თქვენი სახელი?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

იოლია ამის გაგება.  
პისთეტურე ვარ.

ო ფ ო ფ ი

თქვენს მეგობარს რას ეძახიან?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ეს — ეველპიდე.

ო ფ ო ფ ი

მსიამოვნებს თქვენი გაცნობა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

დიდად გვაამეთ.

ო ფ ო ფ ი

გთხოვთ მიბრძანდეთ.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ჩვენ კი წამოვალთ,  
ოლონდ, წინ, გვიჯობს შენ წაგვიძღვე.

ო ფ ო ფ ი

ჩამოვინებით. (მიდის.)

ი ს თ ე ტ ე რ ე

ჩქ, მომისმინეთ, შეჩერდით წამით.

მითხარ, უფროთლებს ფრინველებთან რა გვესაქმება?

თქვენ ცაში დაფრენთ, ჩვენ — მიწაზე დავიარებით.

ო ფ ო ფ ი

ეს სულ იოლად მოგვარდება.

ი ს თ ე ტ ე რ ე

ვახსოვს ეზოებს

ერთი იგავი — არწივის და მელიის ძმობა

როგორ დამთავრდა, რა სავალალოდ.

ო ფ ო ფ ი

ნუ გეშინია. ძირხვენა გვაქვს აგერ ისეთი,

ერთს გაღეჭავ და მყისვე ფრთები გამოგესხმება.

ი ს თ ე ტ ე რ ე

აბა წავედით. ქსანთიასი, მანადოროსი<sup>35</sup>

უკან გამოგვყვნიენ, ტვირთიც მათვე გამოიყოფონ.

კ ო რ ი ფ ე

ჰეი, ოფოფო, მომისმინე.

ო ფ ო ფ ი

რა ამბავია?

კო რ ი ფ ე

ამ დარბაისელთ საკადრისად გაუმასპინძლდი.  
ჩვენ კი ბულბული მოგვივლინე სწორუპოვარი,  
მუნების გუნდში მგალობელი. გვინდა ვილხინოთ,  
გული ვიჯეროთ ღვთაებრივი მისი ჰანგებით.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

იწამე ზევსი, შეასრულე სურვილი მათი,  
სთხოვე მგალობელს, ბუჩქნარიდან გამოიხედოს.

ე ვ ე ლ ჰ ი დ ე

ხმა მიაწვდინე, ყველა ღმერთის გავედრებ სახელს,  
ჩვენც არანაკლებ გვენატრება ბულბულის ხილვა.

ო ფ ო ფ ი

კეთილი, იყოს ნება თქვენი. პროკნე ძვირფასო,  
აქეთ გამოდი, გაიცანი უცხო სტუმრები. (შემოდის ფლეიტა  
დამკვრელი გოგონა. თავი, ფრთები და ჩაცმულობა ბულბულისა აქვს)

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

მამაო ზევსო, რა საოცარს ვხედავ არსებას,  
ერთი შეხედეთ, რა ნაზია, რა მოხდენილი,  
სიამოვნებით ვიგემებდი ამ ჩიტუნias.

ე ვ ე ლ ჰ ი დ ე

ტანზე აუსხამს ოქრო-ვერცხლი გოგონასავით.  
არ დაგიმაღავთ, საკოცნელად მიმიწვეს გული.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

რის კოცნა, ბრიყვო, შამფურივით გაგიყრის ნისკარტს.

ეველპიდე  
შენ დარდი ნუ გაქვს, ჯერ კვერცხივით გავფცქვნი ამ  
გოგოს,

მერე ტურებში ვაკოცებ და არა ნისკარტში. (ნილაბს ხდის და  
კოცნის ფლეიტაზე დამკვრელ გოგონას.)

ოფოფი  
ახლა წავიდეთ!

პისტეტერე  
ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

(პისტეტერე, ეველპიდე და ოფოფი მიდიან მონების თანსლებით. ორ-  
ქესტრაზე რჩება ქორო და ფლეიტის დამკვრელი ქალი. ოფოფი და მისი  
ორი სტუმარი შედიან ოფოფის სამყოფელში. კლდე იხურება.)

პარაბასა

ქორო (ფლეიტის თანსლებით).  
ო, შავგვრემანო, ყელმონატულო,  
ყველა ფრთოსანზე უსაყვარლესო,  
არ მიმღერია სიმღერა, სადაც  
შენ არ ერიო, ჩემო ბულბულო.  
გამომეცხადე, რომ დამენახვო,  
მონვედი, მოგყვა საამო ჰანგი,  
ამღერებულო ხმატკბილ საკრავზე,  
საგალობლო გაზაფხულისა,  
შენ ხარ დამწყები ანაპესტების.

კორიფე

ადამიანების მოდგმავ, უსუსურო, უდროოდ დამჭკნარო  
ფოთლებო,

ჯიშო განწირულო, სახევ წარმავალო, კვდომად  
მიდრეკილნო აჩრდილნო,

თქვენ, უფროდ მავალნო, რა არი ეგ ყოფა? სიზმარი  
მწარე და უსანო.

გვისმინეთ ფრინველებს, ჩვენ არ ვემონებით სიკვდილს,  
ხნოვანებას,

ლაჟვარდში დავფრინავთ, იქ მოგვდის წმინდა და უკვდავი  
აზრები,

ათას საიდუმლოს გიამბობთ ცისას და მიწისას;  
რანი ვართ ფრინველნი, ან რამ გააჩინა ქაოსი, წყვდიადი,  
ღმერთებზე რომ გეტყვით, ყურს ვილა დაუგდებს მოლაყებ  
პროდიკოსს<sup>36</sup>.

ქაოს-ერებოსი და ღამე მეფობდნენ აქ თავდაპირველად,  
შავად ამთქნარებდა პირქუშ ტარტაროზის უფსკრული ვეება.  
მიწა არსად იყო, არც ცა და ჰაერი; წყვდიადის წიაღში  
ღამემ ჩაისახა ქარისგან ნაყოფი და კვერცხიც დაგორდა.  
წლები გადიოდა, კვერცხი გაიბზარა და გაჩნდა ეროტი:  
ვნებისგან ატანილს მუხლი ქარის ჰქონდა და ფრთები  
ოქროსი,

მალე ტარტაროსის ბნელ საბრძანებელში ქაოსთან  
შეუღლდა.

და ვიშვით ფრინველნი, ეროტის პირველი განცხრომის  
ნაყოფნი.

სამყარო მოიცვა და დაიმორჩილა დიდმა სიყვარულმა...  
და გაჩნდა ხმელეთი, ცა უკიდუგანო და ზღვა უნაპირო.  
მერელა იშვა უკვდავთა მოდგმა — ოლიმპოს ღმერთები.  
აქედან, ცხადია, ღმერთებზე ხნიერი ჩვენა ვართ,

ფრინველნი,

ჩვენი წინაპარი თავად ეროტია, ინებეთ საბუთი —  
ლამაზ ბიჭუნების ხელში ჩასაგდებად, გულის მოსაგებად.  
ბევრჯერ მივეშველეთ, ბევრჯერ ავუსრულეთ კაცებს

საწადელი;

ვის წიწილს ვჩუქნიდით, ვის კიდევ ბატის ჭუკს, მწყერს თუ  
ჩიტბატონას.

არ არის ნატვრა, რომლის ასრულებაც ფრინველს

გაუჭირდეს.

დრონი წელიწადის ჩვენით შეიცნობა — ზამთარი,

ზაფხული.

წერო ლიბიისკენ როცა გადიყვილებს, ჟამია თესვისა,  
მაშინლა დათმოს საჭე მეზღვაურმა, მიწვეს, წაიძინოს,  
ორესტემ<sup>37</sup> თბილი მოიგდოს ქურქი და ისე იქურდოს.

ძერა თუ შენიშნეთ, ცაში მოტრიალე — გაზაფხულს

ელოდეთ,

ცხვრის პარსვა იწყება, მერცხალიც მოფრინდა, დრო არი

გაყიდოთ

თბილი ქურთუკები, გაგრილდეთ, შილიფად ჩაიცვათ.

ამონზე, დელფოსზე,<sup>38</sup> ან თვით აპოლონზე რითა ვართ

ნაკლები?

რჩევის საკითხავად ფრინველებს გვაკითხავთ, მუდამ,

ყველაფერზე,

ცოლის შერთვაა თუ სელოზის არჩევა, ან ყიდვა-გაყიდვა.  
ყოველგვარ ნიშანს — ავს თუ სასიკეთოს — ფრინველს

უკავშირებს

ცხვირის ცემინება, უცხო რამ ამბავი — უთუოდ ფრინველთა  
ბრალია

მონა თუ შემოგხვდათ, ანდა სახედარი, აქაც ფრინველია  
საბაბი.

რად უნდა მიხვედრა — ფრინველი კაცთათვის ქურუმი  
ყოფილა ნამდვილი.

თქვენ ღმერთებად გვიცანით და ჩვენზე იყოს ამაგი,  
გვინდა გამცნოთ, ვით მუშებმა, წელიწადის დროები:

შემოდგომა და ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული.

შევსის დარად ღრუბელ-ღრუბელ როდი გადავიკარგებით,  
ჩამოსვლას რომ არ კადრულობს, მედიდურად დაგყურებთ,  
სულ ძირს ვიფრენთ, სამუდამოდ აქვე, თქვენთან დავრჩებით.

სიმდიდრე და ჯანმრთელობა უღეველი გექნებათ,

თქვენ, თქვენს შვილებს, შვილთაშვილებს, ბედნიერად  
ვამყოფებთ.

მშვიდობას და ნეტარებას, სიჭაბუკეს მოგიტანთ,

ჩიტის რძეც არ დაგაკლდებათ, იმღერებთ და იცეკვებთ.

მოსაწყენად ვერ მოიცლით, ლხინს და მხიარულებას,

წრეგადასულ დროსტარებას არ ექნება საზღვარი.

ო ღ ა

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ ქ ი რ ი

პოი, მუზავ, ტყისა!

ტიო-ტიო-ტიო-ტიოტინქს.

ცადაზიდულ მთებს ვვვლებით თავზე,

ტიო-ტიო-ტიო-ტიოტინქს.

იქ ყოფნა მართლა ზღაპარია, თელის ტოტები გვაფარია,

ტიო-ტიო-ტიო-ტიოტინქს.

ჭრელი ყელიდან იღვრება ჩვენი წკრიალა სიმღერა,

ტიო-ტიო-ტიო-ტიოტინქს.

პანს ჰიმნებს ვუმღერით, მასავით წმინდას

და დედა-კიბულეს<sup>39</sup> ცეკვებით ვალხენტ.

ტო-ტო-ტო-ტო-ტო-ტო-ტო-ტო-ტინქს,

ტყე-ტყე დადიოდა ფრინიქე<sup>40</sup>,

მონუცმა თაფლივით აგროვა

სმები მგალობელთა ნეტარი,

მათ არ უწერია გაქრობა.

ტიო-ტიო-ტიო-ტიოტინქს.

### ეპიგრამა

პირველი ნახევარქოროს წინამძღოლი  
მაყურებელნო, რომელნი ირჩევთ წამოსვლას ჩვენთან,  
ნულარ აყოვნებთ, წამოდით, ვისაც სილაღე გინდათ.  
რაც თქვენთან სამარცხვინოა, რასაც კანონით სჯიან,  
იმას ჩავდივართ ფრინველნი, კიდევაც თავი მოგვწონს.  
თქვენში სირცხვილად ითვლება, შვილმა რომ სცემოს მამას,  
ჩვენ გვიხარია, თუ ბარტყი ჩაუნისკარტებს მშობელს,  
თან ეტყვის! „აბა, სცაღე და შემობრუნეო ხელი“.

თქვენ მისდევთ მონებს, გაქცეულს, ყიჟინითა და რისხვი  
ჩვენ კი წუროებს ვეძახით ფრინველებს გადახვეწილს.  
ფრიგიელია სპინთარე, მიტომ არა თვლით კაცად,  
ჩვენ კი ფრიგიულ ფრინველად ვაქცევთ. მივაგებთ პატივს  
კარიელ ექსეკესტიდეს მონად მიიჩნევთ ყველა,  
ერთს კარიულად იყივლებს, მოძმეს იპოვის ჩვენში.  
თუ პისიასის ემაწვილი<sup>41</sup> გულში ჩაიდებს ღალატს,  
ყვინჩილად ვაქცევთ მაშინვე, დავაწყებინებთ ყივილს.  
იცოდეთ, მამალს მამლობას ვერვინ დაუშლის ჩვენში

## ა ნ ტ ო ღ ა

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ქ ო რ ო

გაჰყივის ქათქათა გედი —

ტიო-ტიო-ტიო-ტიოტინქს!

შრიალებს მსუბუქი ფრთები

და გვესმის: „იდიდე, თებე“.

ტიო-ტიო-ტიო-ტიოტინქს.

გედებმა დაფარეს ნაპირი

კლდოვანი ჰებროსის<sup>42</sup>.

ყივიან. გუგუნებს კალთები

ზეცის უებროსი.

ტიო-ტიო-ტიო-ტიოტინქს.

მხეცმა მიაშურა ბუდეს, შიშმა აიტანა რადვან.

თვლელმა მოერია ტალღებს,

ქარიც გაინაბა, ჩადგა.

ტო-ტო-ტო-ტო-ტო-ტო-ტო-ტო-ტინქს.  
ფერხული ჩააბეს მუზებმა,  
ღმერთები გაოცებას არიან.  
ერთად მოვუსმინოთ ქარიტებს<sup>43</sup>, ---  
ეს მათი სიმღერის ზარია.  
ტიო-ტიო-ტიო-ტიოტინქს.

### ანტიპირემა

მეორე ნახევარქოროს წინამძღოლი  
ბედნიერი ხარ ამქვეყნად, თუკი გასხია ფრთები,  
ნეტა ჩიტებად გაქციათ, მაყურებლებო ჩვენო,  
არ მოუსმენდით მშიერნი თქვენ ტრაგედიის ქოროს,  
გაფრინდებოდით სახლებში, დანაყრდებოდით უმალ,  
მობრუნდებოდით მხიარულ სანახაობის ნახვად.  
ვთქვათ და მოუნდა პატროკლიდს შემსუბუქება მუცლის,  
მოსასხამს აღარ წაახდენს, გაინავარდებს განზე.  
მოისაქმებს და მსუბუქად მოფრთხილდება ისევ.  
ვთქვათ, თქვენში ვინმე კუროა, ვთქვათ და აქვე ზის ქმარიც,  
ხომ გაფრინდება, საყვარელს ხომ მიაშურებს წამსვე,  
ერთს კარგად მოისურვილებს, ინებივრებენ ერთად  
საწოლში, მერე აქეთკენ გამოსწევს ფრენა-ფრენით.  
მერწმუნეთ, არაფერი სჯობს ფრინველად, ფრთოსნად  
ყოფნას.

დიიტრეფოსი<sup>44</sup> ხომ გასსოვთ, როს გამოესხა ფრთები,  
ფილარქოსობა<sup>45</sup> უბოძეს, ჰიპარქოსობაც მისცეს.  
კაცად არავინ აგდებდა, ცხენ-მამალივით დადის.

ჩინოვანი ვიზიტი

ჩემოდან ურისველებად გადაცმული პისთოტრე და ველებიდე )

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

აპა, მზადა ვართ. ამისთანა რამის მნახველი.  
ზევსი მყავს მოწმედ, ჯერ არ ვყოფილვარ.

ვ ვ ე ლ პ ი დ ე

რად გეცინება?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

მორთულობა მათცებს უცხო.

გითხრა, რას გევხარ მაგ შენი ფრთებით?

ასე მგონია, ხარაზობა დაიწყო ბატმა.

ვ ვ ე ლ პ ი დ ე

შენ კი გაპუტულ შაშვს მაგონებ, ძმობილო, ჩემო

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

საკუთარ ტანზე საკუთარი ბუმბული გვმოსავს.

როგორც ესქილე იტყოდა<sup>47</sup> ბრძენი.

კ ო რ ი ფ ე

სხვა რა ვიღონოთ, რა ვაკეთოთ?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

პირველ ყოვლისა,

ქალაქს სახელი შევურჩიოთ შესაფერისი,

მერე კი მსხვერპლი შევწიროთ ღმერთებს.

ვეელჰიდე  
მეც ასე ვუიქრობ.

კორიფე  
რომელ სახელს ამჯობინებდით?

პისტეტერე  
ვარჩევ სპარტანულს. აი თუნდაც „ლაკონიკონი“.

ვეელჰიდე  
„ლაყე დემონი“? ვერაფერი შვილია სწორედ.  
არ გამოდგება.  
ამნაირ სახელს უსახელოდ დარჩენა გვიჯობს.

პისტეტერე  
მაშ რა დავარქვათ ქალაქს ჩვენსას?

ვეელჰიდე  
რამე მომადლო,  
უფრო მსუბუქი, ჟღერადი და ჰაეროვანი.

პისტეტერე  
„გუგუ-ღრუბლეთი“ რომ დავარქვათ?

კორიფე  
საუცხოოა,  
შვეთეს სახელს ვერც ვინატრებდით.

ვეელჰიდე  
ერთი მითხარი, მაგ ქალაქში ხომ არ დამალეს  
თეოგონოსმა და ესქინემ<sup>48</sup> მთელი ქონება.  
განძი ურიცხვი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

არ გცნობია „გუგუ-ღრუბლეთი“.

იქ მიწდორია, ფლეგრას ველი<sup>49</sup> ჰქვია სახელად,  
სადაც ღმერთებმა გიგანტები მშრალზე დასტოვეს.

კ ო რ ი ფ ე

ო, როგორ ბრწყინავს... ამ ქალაქის ვის ვანდოთ დაცვა,  
ღმერთთაგან რომელს მოვუქსოვოთ წამოსასხამი?

ე ვ ე ლ პ ი დ ე

ვფიქრობთ, ათენა გამოდგება, ქალაქთ მფარველი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

შემირცხვენია ის ქალაქი, სადაც დამცველად  
ქალი დადგება, მედიდური, აბჯარასხმული,  
ზოლო კლისთენეს<sup>50</sup> თითისტარი ეპყრობა ხელში.

ე ვ ე ლ პ ი დ ე

კი მაგრამ, კოშკზე ვინ ავგზავნოთ სამეთვალყუროდ?

კ ო რ ი ფ ე

ნუ გედარდებათ, გეყავს ფრინველი სპარსელთა მოდგმის,  
ავი და ანჩხლი, ჩხუბისთავი, ამ მამლაყინწას  
თვლიან არესის<sup>51</sup> შთამომავლად...

ე ვ ე ლ პ ი დ ე

მეფე-მამალი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

კლდეზე ღმერთივით შესკუბდება ჩვენი მფარველი (ეველპიდა)

რადას უყურებ, გაინძერი, აფრინდი მადლა.  
კირით ხუროებს მიეშველე, კედელი აჰყავთ,  
მოზიდე ღორღი, აურიე თისა და კირი,  
ხონჩით აცოცდი, კიბეებზე დაგორდი თავქვე.  
მეთვალყურენი დააყენე, ცეცხლსაც მიხედე,  
ზარს შემოჰკარი, წაიძინე, სადაც გენებოს.  
ორი შიკრიკი გააგზავნე. ერთი — ღმერთებთან,  
მეორე — ხალხთან. ამის მერე ორივე მაცნემ  
მე მინახულოს...

ე ვ ე ლ ჰ ი დ ე  
დამიხედეთ ამ მუქთანორას,  
ეს თუ აქ დარჩა, თავს დაღუპავს.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
აბა, ძმობილო,  
გზას გაუდექი, უშენობა გაუჭირდებათ.  
(ვევლებიდე მიდის.)

მსხვერპლის შეწირვას მოითხოვენ ახალნაკურთხი  
ღმერთები, მალე დავიძრებით ქურუმთან ერთად,  
ბიჭუნავ, სურა მოგვაწოდე, ხელს გადავიბანთ.  
(პისტეტირე სახლისკენ მიდის.)

## II ს ტ რ ო ფ ი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ ქ ო რ ო  
შენთანა ვარ მთელი ჩემი არსებით,  
აჰა. მსხვერპლად შემიწირავს ტარიგი,

ღავკლათ, ღმერთებს ეამებათ ზეცაში.  
ვთქვათ სიმღერა, მათი სადიდებელი,  
მიწვდეთ ღმერთებს პითიელთა ძახილი,  
სალამური ააკვნესე, ქერიდო.

## მ ე ო რ ე ე ა ო ზ ო ღ ი

(გამოდის და ფლეიტაზე უკრავს ყვავად გადაცმული მსახიობა. ბისტე-ტვრე, ქურუმი და მონები, რომელთაც სამსხვერპლო ციკანი უბვრიათ ხელთ, სახლიდან ვაშიდიას.)

ბ ი ს თ ე ტ ე რ ე

კმარა, გეყოფა, რას ხედავენ ჩემი თვალები,  
თა არ მინახავს, მაგრამ მსგავსი არსად მსმენია,  
ხად გაგონილა ფლეიტაზე უკრავდეს ყვავი.  
ქურუმო, ლოცვა აღუვლინე აწინდელ ღმერთებს.

ქ უ რ უ მ ი

მზადა ვარ, ოღონდ ჯერ დამჭერი ვიხმოთ კალათის.

(გამოდის ხელკალათიანი ბიჭუნა.)

ფრინველთა ჰესტიის<sup>52</sup> და ძერის სახელზე,  
ჭერის და კერიის ვინც არის მფარველი,  
ოლიმპოს ბინადარ თვითეულ ფრინველზე  
ვილოცოთ, ვილოცოთ.

ბ ი ს თ ე ტ ე რ ე

შენ, მიმინოვ, მეუფეე ზღვათა, გისაროდეს!

ქ უ რ უ შ ი

ვილოცობ პითიელ, დელოსელ გედებზე,  
მწყერთა წინამძღოლზე — ღვთაებრივ ლეტოზე<sup>55</sup>.  
ვაქოთ ჩიტბატონა -- ჩვენი არტემიდე.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

კოლენის ასული<sup>56</sup> იქცა ჩიტბატონად!

ქ უ რ უ შ ი

ვაქოთ საბასია<sup>57</sup> -- სკვინჩა ფრიგიული,  
ვადიდობთ სირაქლემა დიდი,  
ვინც წვა უკვდავნი და მოკვდავნი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ეს ხომ კიბულაა, დედა კლეოკრიტეს.

ქ უ რ უ შ ი

გავედრებთ, შეეწიეთ ქალაქ გუგუ-ღრუბლეთს,  
დღევგრძელი, მზევგრძელი ამყოფეთ,  
მომძე ქიოსელთაც<sup>58</sup> მისედეთ.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

შენ იცი, ქიოსელთ თუ არ გამოტოვებ!

ქ უ რ უ შ ი

ღმერთო, მიეც დიდი დღე  
გმირ ფრინველებს, მათ შვილებს:  
პელიკანს თეთრს, პელიკანს რუხს,  
არწივსა და როჭოს,  
ხოხობსა და ფარშევანგს,

ყანჩასა და მტრედს,  
ახვს და ყარყატს, მოლაღურს,  
წიწკანას და თაეშავას.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე (ქურუმნი).

ბულელო, ჭკუა რა უყავი, სად გავიწილდი!  
ორბსა და არწივს მჭლე ციკანზე ეპატიჟები.  
შერას ღუკმადაც არ ეყოფა ეს საცოდავი,  
ყადი, გამშორდი, გვირგვინები წაკრიფე შენი,  
სამეფებს ქურუმს.)  
თავად შევწირო დმერთებს მსხვერპელი, არავინ მიჩნდა

#### II ა ნ თ ი ს ტ რ ო ჟ ა

შეოტე ნახევარქორო  
ისმინე, ისევ ისმინე,  
ჩვენი გალობა ღვთიური,  
დღესასწაული იწყება,  
ვადაიბანე ხელები,  
დმერთო, მაღალო, გვიკადრე,  
მარტო შობბძანდი, უფალო,  
არ მოიყოლო არავინ,  
ნადაა სხვათა სამყოფი,  
მარტო რქები და ტყავია.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

გვირგვინოსანო ფრინველებო, მიიღეთ მსხვერპელი.

მეხსიანე მკვირვარი

(შემოდის ვრძელმიანი, დაკონკილი პოეტი.)

პოეტი

ო, მუზავ, უმდერე გუგუ-ღრუბლეთს,

ქალაქს უნეტარესს,

სატახტოს, ბედნიერს.

პისთეტიერე

შენ რაღა გინდა ან ვინა ხარ, გაგვაგებინე.

პოეტი

ტკბილ ხმათა მპყრობელი,

თავგადადებული მსახური მუზათა,

როგორც ჰომეროსი იტყოდა.

პისთეტიერე

მონა ყოფილხარ, მიტომაც გაქვს თმა აბურდული.

პოეტი

როგორ გეკადრებათ,

ყველა ხელოვანი მუზათა მსახურია.

როგორც ჰომეროსი იტყოდა.

პისთეტიერე

ჯობია შენს თავს ემსახურო, ტანზე ჩაიცვა,

აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო, მითხარ, პოეტო?

პოეტი

გუგუ-ღრუბლეთის სადიდებლად ჰიმნები მითქვამს,

ქაღწუღისა ხმების, ხალადობთ, ააქო, კოღინი,  
სიმღერებს ჩემსას სიმონიდეს ატყვია ვვადი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ასე როდიდან შეგიყვარდა ჩვენი ქაღაქი?

პ თ ე ტ ი

ვაქებ და ვაქებ რა ხანია, ვეთაყვანები.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ისემა რა გითხრა, ეს წუთია ერთად მოგნათღეს,  
ახლა ვზვიმოთ დაბადებას ანა ქაღაქის.

პ თ ე ტ ი

ასეა, მუზის ფეხმარდ რაშებსაც<sup>57</sup>

ასწრებს ამბავი, ელვისუროთიანი.

მამო, ეტნის ფუქემდებედო.

შენ, ჰეირონო წმიდათაწმიდავ.

როგორც შეჭფერის სიუხვეს შენსას,

წყალობა მცირე მოილე ჩემდა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე (თავისთვის).

ამას თუ რაშე არ ვაჩუქეთ, გაგვიჭირდება,

აქედან ნაღდად ფეხს არ მოიცვლის. (ქურუმის მსახურს )

შენ წინსაფარი რომ გაცვია, ქიტინაც გმოსავს,

ერთ-ერთი დათმე, გაახარე ბრძენი პოეტი.

(ქურუმის მსახური წინსაფარს იხდის.)

ეჭყობა გცივა, გადაიცვი ეს წინსაფარი.

პოეტი (გამოართმევს წინსაფარს).

დიდი პატივით მიიღო მუზამ  
მცირედი ძღვენი, თქვენგან მოძღვნილი.  
დარბაისელნო, ახლა პინდარეს  
ღვთიურ გალობას დაუგდეთ ყური.

პისთეტეე

ამ ჩვენს მეგობარს არაფერი ეტყობა წასვლის.

პოეტი

ყრუ ტრამალებში, სკვითების მხარეს,  
დაეხეტება ყარიბი ვინმე.  
არც რა ახურავს, არც რა აცვია,  
დადის საწყალი აღმა და დაღმა.  
ქიტონიც უნდა ახლდეს წინსაფარს,  
მგონი მიმიხვდით, რისი თქმაც მსურდა.

პისთეტეე

ქიტონს მოითხოვ, რა მიხვედრა სჭირდება ამას. (ქურუმის მსახურს.)

ბარემ ქიტონიც გაიხადე, უბოძე მგოსანს, (მსახური ქიტონს იხდის და პოეტს უწვდის.)

აჰა და წადი, გაიარე.

პოეტი

მესმის, მივდივარ.

სატახტო თქვენი ასერიგად უნდა შევამკო:

უმღერე, ოქროსგვირგვინოსანო,

ქალაქს გათოშილს და მოცახცახეს,

ძოვადეჟ მინდვრებს, თოვლით დაფარულს.

წაყოფიერი ვნახე ველები.

ალაღაი, ალაღაი. (მიდის)

მეცხეობა: ვაიკობი

პისთეტერე

უშად დატოვე ქარდაკრული, ცივი ველები.

რაკი საჩუქრად სამოსელი გერგუნა შალის.

ზევსს გეფიცები, არ მეგონა, რას ვიფიქრებდი

თუ ასე შალე მოაგნებდა სატახტოს ჩვენსას.

ბიჭუნავ! თასით საკურთხეველს შემოუარე.

ხინუმეს ვითხოვ! (ქმოდის მისანი, ხელში გრავნილი ჭვინავს).

მისანი

შეიცადეთ, ნუ დაკლავთ ციკანს.

პისთეტერე

შენ, ეი, ვინ ხარ?

მისანი

მისანი ვარ.

პისთეტერე

მომწყედი აქედან.

მისანი

ფრთხილად, ნუ სცოდავ, ნუ აკნინებ ღვთაებრივ ძალას.

წინასწარმეტყველს თიოონ ბაკიდს აქვს ნახსენები  
გუგუ-ღრუბლეთი.

პისთეტერე

სად იყავი მერე აქამდე?

ვიდრე ამ ქალაქს, სწორუპოვარს, დავაარსებდი.

არც მინახინხარ.

მისანი

მაკავებდნენ ზენა ძალები.

პისთეტერე

ჯანი გავარდეს, იქადაგე, მზად ვარ გისმინო.

მისანი (საზეიმო სმით).

„როს სიკიონის და კორინთოს მხარეში, შუაგულ მიჯნაზე,  
ერთად შეიყრება მგლები და ყვავები, ერთი ფერისანი“ ...

პისთეტერე

ტიდასთვის ახსენა ნეტა კორინთელნი? ვერა გამიგია.

მისანი

პაერზე გახლავთ ლექსში მინიშნება და ალბათ ამიტომ.

„უპირველესად პანდორეს<sup>58</sup> ქათქათა ვერძი დაუკალით,

ხოლო ვინც პირველი გაუწყებთ ჩემს სიტყვას, ჯერეთ

ჩაუცმელი

ებოდოს მანტია და ფეხსაცმელები, სულ ახალთახალი“.

პისთეტერე

„ფეხსაცმელებიო“? ასე უწერია?

პ. პოსტოფანე

მისანი

წიგნში შეამოწმე.

„თასიც მას ერგება და ხელისგულებზე დაუწყობა“  
„შიგნეულს“

პისტეტერე

„შიგნეულობაცო“? ნამდვილად ასეა?

მისანი (უწვდის გრაფიკს).

წიგნში შეამოწმე.

„ყმაო ნებიერო, ბრძანებას ჩემსას თუკი შეასრულებ, არწივად გაქცევ, ცაში ინავარდებ, სოლო თუ მეურჩე, არწივი კი არა, კოდალად ქცევაც აღარ გიწერია“.

პისტეტერე

მართლა ასე ამბობს ბაკიდი? მითხარი.

მისანი

წიგნში შეამოწმე.

პისტეტერე

ჩემი მისანი სულ სხვა გახლავს. თვით აპოლონმა გამომიგზავნა, რასაც ასლა მოისმენ ჩემგან. (საზვიანო ხმით)  
„თუკი არამკითხე ვინმე ცრუპენტელა კარზე მოგადგება, რიტუალს ჩაგიშლის და თბილი შიგანის მირთმევას  
ინებებს,

სიგრძე სიგანედ უნდა მოუქციო ასეთ ვიგინდარას“.

მისანი

რალაცას იგონებ.

პისთეტერე  
წიგნში შეამოწმე. (სცემს მისანს.)

მისანი  
მიშველეთ, მომკლა.

პისთეტერე  
აქედან მოკურცხლე, სხვაზე გამოსცადე ეგ შენი მისნობა.  
(მისანი ვარბის.)

მეხუთე ეპიზოდი

(შეშლის მეტონი. ხელში გასაზომი ხელსაწყოები უჭირავს.)

მეტონი  
თქვენთან მოვსულვარ.

პისთეტერე  
აი კიდევ უბედურება.  
რამ მოგიყვანა? გაგვიმხილე ზრახვანი შენი,  
გულში რა გიდევს, რა ფეხზე ხარ, გვითხარ, მოსული?

მეტონი  
მიწის მზომელი ვარ ხელობით. თვითეულ თქვენგანს  
ჰაერი უნდა ავუზომო.

პისთეტერე  
რა მესმის, ღმერთო.  
ვინ ხარ, რა კაცი?

მეტონი  
მეტონია ჩემი სახელი.

მიცნობს კოველი ბებქენა თუ კოლონელი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
ვერა გაჭირავს?

მ ე ტ ო ნ ი

გასაზომი სედსაწყობი.

ჰაერი ძლიერ მოგვაგონებს მოხაზულობით  
ქვებს, ცეცხლის საქრობს. ამიტომაც მის გასაზომად  
მონხილ სასაზავს დავამატებ და მეტე ფარგლით  
ვაზომავ მანძილს. გაივე რამე?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
ვერაუერი.

მ ე ტ ო ნ ი

მეტე სწორ საზებს ვავატარებ სასაზავითვე  
და ამნაირად წრე კვადრატად გადაიქცევა.  
ცენტრში ბაზარი მოთავსდება, ხოლო ბაზრისკენ  
სწორი ქუჩები გაიჭრება. ამგვარად ვარსკვლავს  
სწყდება სხივები მოკაშკაშე. თითონ მრგვალია,  
სხივები სწორი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
თალესი<sup>60</sup> ხარ პირწავარდნილი.  
ქვირფასო, მეტონ!

მ ე ტ ო ნ ი

თას გვიბრძანებ.

პოსტეტეე

თავდაც იცი,  
როგორ მიყვარსარ. პათიოსნად წასვლას ვირჩევდი.

მეტონი

რაგომ? რა მოხდა?

პოსტეტეე

აქ, ისე ვით ლაკედემონში,  
გადამთიულებს ვერ იტანენ. გაძდა ამისა.  
ხშირია ჩსუბი.

მეტონი

აჯანყებას სომ არ აპირებთ?

პოსტეტეე

რას ამბობ? არა.

მეტონი

მაშ რა ხდება?

პოსტეტეე

მიღწეულია

ქრთსულოვანი შეთახხმება ვურტყათ თაღლითებს.

მეტონი

ლუკი ასეა, გაცლა მიჯობს.

პოსტეტეე

აჰ, მაგრამ ვფიქრობ.

არავიანდა. ცემა-ტყევა იწყება შენი. (უბრალოდ ტეტიონს.)



ის თ ე ტ ე რ ე

თი მითხარ, თუ აიღებდი

ფასურს შენსას, შინ მშვიდობით თუ წასვიდოდი?

მ თ ვ ა ლ ყ უ რ ე

აღა თქმა უნდა. შეკრება მაქვს სწორედ ოჯახში,

აღა ამისა, ფარნაკესთან<sup>66</sup> მიმეჩქარება.

ის თ ე ტ ე რ ე

შთუ ასეა, გაიქეცი, აჰა, ფულები.

მეფიურე კასრებს მიუჩინებს. პისთეტერე კი მუშტებს დასცხებს.

მ თ ვ ა ლ ყ უ რ ე

ას მერჩი?

ის თ ე ტ ე რ ე

ნ ხომ ფარნაკესთან მიგეჩქარება.

მ თ ვ ა ლ ყ უ რ ე

წმედ მჭირდებით, მეთვალყურე გალახეს, ხალხნო.

ის თ ე ტ ე რ ე

ოზე მოკურცხლე შენი კასრებით. (მეთვალყურე გარბის.)

არის საქმე? ლოცვა არც კი დამთავრებულა,

მეთვალყურეებს გვიგზავნიან ვილაცეები. (შეშოდის კანონთა  
ქრები.)

ნ ო ნ თ შ ე მ კ რ ე ბ ი (კითხულობს).

უგუ-ღრუბლეთელმა თუ რაიმე დაუშავა ათენელ

მოქალაქეს”...

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

კიდაცა კიდევ მოგვევლინა თაღაც ნაჯდაბნით.

კ ა ნ ო ნ თ შ ე მ კ რ ე ბ ი

კამყიდველი ვარ კანონების ასლავ მოგყიდით  
ვინცსაღ კანონებს.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

მაინც რანაირს?

კ ა ნ ო ნ თ შ ე მ კ რ ე ბ ი

„გუგუ-ღრუბლეთის ყველა მკვიდრი ვალდებულია,  
წომა-წონები შემთიღონ ბეოტიისა“...

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

აჰა. საზომი მაგიერი თითოტიისა. (სცემს კანონშემტრებს.)

კ ა ნ ო ნ თ შ ე მ კ რ ე ბ ი

რა მოგივიდა?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ვაქრით შენ და შენი კანონი.

მოუსვი, ვიდრე მიგტყეპავდე კანონიერად. (სცემს კანონშემ-  
ტრებს ვარბის, შემობრბის შეოვადყურე.)

მ ე თ ვ ა ლ ყ უ რ ე

პიროვნების შეურაცხყოფისათვის, მომავალი მუნიქიონის  
თვეს<sup>14</sup> პისტეტერეს ვიბარებ სასამართლოში.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

შენ ისევ აქ ხარ, არ გაქცეულხარ? (უბიძგებს და აგდებს შეთვალ-  
ურეს, შემობრბას კანონშემტრები.)

## კ ა ნ ო ნ თ შ ე მ კ რ ე ბ ი

...თუ ვინმე უდიერად გააძვევებს თანამდებობის პირს და კანონით გათვალისწინებულ პატივს არ მიაგებს მას...“

## პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ღმერთო, მომკალი. შენაც აქა ხარ?

## მ ე თ ვ ა ლ ყ უ რ ე

ნავს ნუ იღუპავ ათი ათას დრაჰმას შეგაწერ.

## პ ი ს თ ე ტ ე რ ე

წყალმა წაგიღოს შენი კასტებით. (კანონთშემკრები დახეუ შემობრუნდა.)

## კ ა ნ ო ნ თ შ ე მ კ რ ე ბ ი

მოედნის ბოძთან რომ მოშარდე, თუ გაგონდება? (ორთავეს დაეძრევა. ორივენი გარბიან.)

## პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ტყეი. დაიჭით. ხომ იკადრეს ბოლოს გაქცევა. (მხასურებს.)

დალას ვაყოვნებთ, სახლში შევიდეთ.

მშვიდად მივართვათ ღმერთებს ციკანი. (პისტეტერე და მონები სახლში შედიან.)

## მ ც ი რ ე პ ა რ ა ზ ა ს ი

ო და

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ ქ ო რ ო

ღღეიდან მსოლოდ ფრინველთა.

ყოვლისმცოდნე და მჭვრეტელთა,  
 სახელზე უნდა ილოცოთ.  
 ჩვენია მთელი სამყარო:  
 ვიფარავთ ხეხილს, ყვავილებს,  
 რამდენი გავანადგურეთ  
 ხოჭო და ჭიაღუები.  
 კვირტებს და ძირებს მცენარის,  
 ყლორტებს და ნაყოფს, მშვენიერს.  
 უღმობლად ღრღნიან ისინი.  
 არ უნდა წავაბილწინოთ  
 მათ ეს ბაღია და ბაღები.  
 ჩვენი ნადავლი გახდება  
 მწერი დიდი თუ პატარა.

### ეპირემა

პირველი ნახევარქოროს წინამძღოლი  
 ხომ გაიგონეთ ამ დილით. რა თქვა ქალაქის მაცნემ:  
 „დაჯილდოვდება, ვინც მოკლავს მელიელ დიაგორასს,<sup>65</sup>  
 ოქროს ტალანტით. ასევე მიიღებს ოქროს ტალანტს  
 ადრევე ჩაძალღებული ერთი ტირანის მკვლელი“.  
 კარგი იქნება ამგვარი ჩვენც დავაწესოთ ჯილდო:  
 „ვინც ფილოკრატეს<sup>66</sup> მოგუდავს — ღობემძვრალეების  
რისხვას,
 ერთი ტალანტი მისია, ცოცხლად შეიპყრობს --- ოთხი.  
 თასმაზე ასხმულ შვიდ სკვინჩას, ბილწი მანეთად ყიდის.

ბაზარზე გამოტანილი, ფიტულებს ჰგევანან მწყერები,  
ნისკარტში ურჭობს ფრთა-ბუმბულს. დასცინის საწყალ  
შაშვებს,

მტრედებსაც იჭერს, წყეული, და გალიებში კეტავს,  
რომ სსვა მტრედებიც აცდუნოს და მიტყუება შეძლოს“.  
ეს უნდა გამოვაცხადოთ. ვისაც ჩიტები ჩვენი  
გალიაში ჰყავს ჩასმული, უჯობს გაუნსნან კარი,  
ვინც რომ ურჩობას გაგვიწევს, უმალ შევიპყრობთ იმას,  
ხელ-ფეხს შევუკრავთ ფრინველნი და სატყუარად ვაქცევთ.

### ა ნ ტ ო ღ ა

მეორე ნახევარქორო  
დალოცვილია ფრინველთა მოდგმა.  
ბუმბული მოსავს. ზამთრის ქარბუქში  
ძბილი სამოსი არა სჭირდება.  
ჩვენ არც ზაფხულის თაკარა მზისა  
არ გვეშინია, ყვავილოვანი  
კვიფარავს მდელი. ფოთოლთ წიაღში  
ვართ შეყუქული, როცა კალიებს,  
ნიცხეში მკვნესართ, თავბრუ ესვევათ.  
გამოქვაბულებს ვარჩევთ ზამთარში,  
ორეადების<sup>67</sup> კრებული გვართობს.  
გაზაფხულს შირტის გვირგვინი მოაქვს  
ჩვენთვის ქარიტთა ტურფა ბალიდან.

## ახტეპირემა

მეორე ნახევარქოროს წინამძღოლი

გვინდა ვაცნობოთ მსაჯულებს, თუკი მოგვცემენ ჯილდოს, ვალში არავის დავრჩებით, არ დავიშურებთ სულსაც, ისეთ საჩუქრებს მივართმევთ, არ ღირსებოდეს პარისს<sup>68</sup>. ეველა მსაჯული ოცნებობს ჩაიჩსრიალოს ბლომად, ჭოტებით გულმონხატული. ლაერეონული ვერცხლი<sup>69</sup>, ნუ დაღონდებით, აგივსებთ ვერცხლით ოჯახს და ქისას, დაჩუკენ ვერცხლის ჭოტები, ვერცხლის პაწია ბარტყებს, ისე იცხოვრებთ სახლებში, თითქოს ტაძრებში იყოთ, იქვენი სასახლის გუმბათზე გვსურს არწივებად დავსხდეთ. თუკი ფულებს ჩაჯიბვა მოიწადინეთ გულით, ნყისგე შევარდენს გიბოძებთ, მოქნილია და მარდი. სადილზე დაპატიჟებულს, ჩიჩახვს ვათხოვებთ მსაჯულს. თუ ჯილდო არ დაგვირიგეს, ვაი, მსაჯულთა ბრალი. სპილენძის ქოლგა დაიმსონ ქანდაკებების დარად, არადა, როცა ეცმევათ წამოსასხამი თეთრი, შვედ დავასკორავთ პირდაპირ, შურისძიებაც ვიცით.

მეზვიდუ ეპიფორდი

(ნეშიდის პისტეტერე).

პისტეტერე

თუმც დიდებულად ჩაიარა მსხვერპლის შეწირვამ, მაცნე არა ჩანს, მშენებლობის ამბები ჩვენთან

არავის მოაქვს, რა დღეშია ნეტავ კედლები? (შენობის პირველი მაცნე.)

თუმცა რას ვამბობ, აგერ მობის გამალებული

პირველი მაცნე

სა-სა-სა-სა-სა-საით არის, ნეტავ, წასული,

ჩვენი თავკაცი პისტეტე?

პისტეტე

თითონ გახლავართ.

პირველი მაცნე

უკვე აშენდა გალავანი.

პისტეტე

დიდად შაამე.

პირველი მაცნე

მორჩა, დასრულდა ნაგებობა გასაოცარი,

ცას ებჯინება თვალუწვდენი მისი კედლები,

იმდენად ფართო, პროქსენიდეს და თეოგენეს

ზედ შეუძლიათ გააჭენონ ეტლში შებმული

ტროას ცხენები.

პისტეტე

ოი, ჰერაკლევ!

პირველი მაცნე

სიმაღლე კედლის თვით გავზომე, იქნება ასე,

ასი საყენი?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

შენ მოგმართავ, პოსეიდონო,  
ვინ ააშენა გალავანი თვალშეუდგამი?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ც ნ ე

თვით ფრინველებმა. ეგვიპტელი კალატოზები<sup>70</sup>  
და ქვისმთელელები არ ჰყოლიათ. თავით ბოლომდე,  
რასაც იხილავთ, სულ ფრინველთა ნახელავია.  
ლიბიის მხრიდან უთვალავმა წეროთა გუნდმა  
საძირკვლის ქვები ჩიჩახვებით გადმოგვიზიდა.  
მძიმე ლოდები ნისკარტებით თალეს დალღებმა,  
ხოლო პრანწიებს და ჭაობის დანარჩენ მკვიდრებს  
მალლა, ჰაერში, აჰქონდათ წყალი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

კირიან დულაბს ვინ აწვდიდათ?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ც ნ ე

ყანჩები. ხონჩით  
ეზიდებოდნენ.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

გადმოტვირთვა ვინღა ითავა?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ც ნ ე

აქ კი ბატებმა ივაჟკაცეს. გასაოცარი  
იპოვეს ხერსი — ნიჩბებივით ხმარობდნენ ფეხებს  
და გულმოდგინედ გადმოცალეს მთელი დულაბი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

მათი ფეხიდან რა არ გამოვა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ც ნ ე

წელზე ქამარი შემოირტყეს იხვებმა. აგურს  
ეზიდებოდნენ. როგორც ბიჭებს, მოსამსახურეს,  
კირი აჰქონდათ მერცხლებს მალლა და ნისკარტებით  
თვითეულ მათგანს ქაფრია ეჭირა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ვინ იქირავენს დღიურ მუშას ამიერიდან!  
ვანაგრძე, გისმენ! ხუროობა ვიღამ იკისრა?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ც ნ ე

პელიკანებმა. დურგლებია სწორუპოვარი;  
ვეება კარებს ნისკარტებით რანდავდნენ, თლიდნენ,  
ხმაური იდგა იმდაგვარი, გეგონებოდათ,  
დოკში გემები შენდებაო უზარმაზარი.  
ყველა ჭიშკარი მოათავეს, შეკიდულია,  
მძიმე ურდულიც გაუყარეს და დაუყენეს  
სანდო მცველები. გუშაგები ზანზალაკებით  
მიდი-მოდინ. თითო კოშკზე თითო კოცონი  
ანთია ნიშნის მისაცემად. ახლა წავედი,  
ხელ-პირს დავიბან, თვით მიხედე, ძმობილო, საქმეს. (მიდის.)

კ ო რ ი ფ ე

რამ დაგაფიქრა? ალბათ გიკვირს, რომ ასე სწრაფად,  
ასე უეცრად ააშენეს შენი კედელი?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
რაც მოვისმინე, საკვირველზე საკვირველია.  
არა ჰგავს ნამდვილს, ზღაპარში ვარ, ასე მგონია.  
ეს ვინდა მორბის? გუშაგია, ამბავი მოაქვს,  
შესვთ, საომრად გამზადებულს მიუგავს სახე.

### მ მ რ ვ ე ე კ ი ზ ო დ ი

(შემორბის მეორე მაცნე.)

მ ე ო რ ე მ ა ც ნ ე  
ე-ჰე-ჰე-ჰეი-ი-ე-ჰე-ჰე-ჰეი...

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
რაო, რა მოხდა?

მ ე ო რ ე მ ა ც ნ ე  
საშინელი დაგვატყდა რისხვა.  
ერთ-ერთი ღმერთი, ალბათ ზევსის წარმოგზავნილი,  
ჭიშკარში ჯიქურ შემოგვეჭრა, ამოგვივარდა,  
მცველებმა --- ჭკებმა --- ვერც შენიშნეს, იქვე ეძინათ.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
რა სამარცხვინო, რა უმსგავსი საქციელია.  
ვინ ღმერთი არი?

მ ე ო რ ე მ ა ც ნ ე  
ვერას გეტყვით. ეს ვიცი მხოლოდ ---  
ფრთები ასხია.

ის თ ე ტ ე რ ე

რადღას უცდით, რატომ მდევარი  
არ დაადვენეთ.

ქ ე ო რ ე მ ა ც ნ ე

მეგარდენტა მთელი მხედრობა —  
ციცო ათასი ცხენოსანი გამოეკიდა,  
მათვე მიჰყვა მეომრები, ბრჭყალდალესილი:  
ბრბი, არწივი, სვავი, ქორი, მიმინო, ძერა...  
აერი შესძრა მათი ფრთების შრიალ-ფათქუნმა.  
ლმერთს დაედვენენ, სადაცაა წაეწევიან.  
ქვე იქნება დამალული, არა მგონია  
ორს წასულიყო.

ის თ ე ტ ე რ ე

ვიპყართ. ჩქარა შურდული.  
ამართეთ მშვილდი, დაუმიზნეთ, სტყორცნეთ ისარი,  
ორს ჩამოაგდეთ. მომეშველეთ, ჩქარა შურდული! (გადის.)

ქ ს ა მ ე ს ტ რ ო ფ ი

ორველი ნახევარქორო  
მი დაიწყო სასტიკი, აუწერელი ენით,  
ვეომებიან ღმერთები, მეტოქეები ჩვენი.  
ავიცვათ სუფთა ლაყვარდი, უბე და კალთა ცისა,  
ლიმპოს ღმერთებს ჩვენს მხარეს არ გავაკარებთ, ვფიცავთ.

ო რ ი ფ ე

ხიზლად იყავით, შემოგარენს თვალი ადვენეთ,



მ რ ი დ ა

მეწიყურთ? მესმის პაცივი  
და დაფასება.

მ ი ს თ ე ტ ე რ ე

მეწიყურთ, მალე მოგივლი.

მ რ ი დ ა

მეწიყურთ.

მ ი ს თ ე ტ ე რ ე

მეწიყურთ, ურცხვო დიაცო.

მეწიყურთ, შეაღწიე იმ ჩვენს ქალაქში.

მ რ ი დ ა

მეწიყურთ, დაშორდით, აღარც კი მახსოვს.

მ ი ს თ ე ტ ე რ ე

მეწიყურთ, კიდევ დაგვცინის.

მეწიყურთ, მიმართე ნებართვისთვის, ან ეს მითხარი

მეწიყურთ, სად არი ყვანჩალასგან ხელმოწერილი?

მ რ ი დ ა

მეწიყურთ, რა გსურთ.

მ ი ს თ ე ტ ე რ ე

მეწიყურთ, არაფერიც არა უქონია.

მ რ ი დ ა

მეწიყურთ, ზომ არ გაღასხედი?

პ ი ს თ ე ტ ე რ ე (აკვირდება).

წარმოიდგინეთ.

თვითონ ყარყატის ბეჭედიც კი არსად აჩნია.

ი რ ი დ ა

სწორედ ყარყატის ბეჭედი მაკლდა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ასე რომ ჩუმად, დამალულად გადმოიასტე

ქაოსი, სხვათა სამეფოში შემოიჭვრი.

ფიცავ, იქნები ირიდათა შორის პიტკელი.

ვისაც შევიპყრობთ და სიკვდილი არ ასცილდება.

ი რ ი დ ა

კი მაგრამ, მე ხომ უკვდავი ვარ!

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ეგ სულ ერთია.

უნდა გაწამოთ, არც ისეთი გასახარია:

როცა ქვეყანა ჩვენ გვეკუთვნის, გვემორჩილება.

ამ დროს ღმერთები გვიჯანყდებით და გვეურჩებიან.

არ გსურთ იწამოთ ჩვენი ძალა და სელმწიფება.

საით მიფრინავ, მითხარ, ვისკენ მიგეჩქარება?

ი რ ი დ ა

კაცთა მოდგმასთან გამომგზავნა ღმერთების მამამ:

სარი და ვერძი უნდა დაკლან ოლიმპოს ღმერთთა

პატივისცემად. ოსშივარი შეწირულ მსხვერპლის

ავსებდეს ქუჩებს.

ი ს თ ე ტ ე რ ე

ვისზე ამბობ, რომელ ღმერთებზე?

რ ი დ ა

ახადია, ჩვენზე, მეუფენი ჩვენა ვართ ცათა.

ი ს თ ე ტ ე რ ე (უზოხო ზიხლით).

ქვენ ხართ ღმერთები?

რ ი დ ა

მა თქმა უნდა, სხვა ვინ იქნება?

ი ს თ ე ტ ე რ ე

ამიერიდან ფრინველები დავსვით ღმერთებად,  
ზევისის მაგივრად მსხვერპლიც მათვე უნდა შესწირონ.

რ ი დ ა

ბრიყვო, რეგვენო, გეშინოდეს ღმერთების რისხვის  
და შურისგების, ახი არი კეფაში ჩაცხვოს  
ზევსმა ბარი და გვარ ჯილაგი გაწყვიტოს შენი,  
მთელი ქონება, სახლი, კარი და თავად შენაც  
ლიკიმნეს ელვამ გადაგბუგოს, დაგანახშიროს.

ი ს თ ე ტ ე რ ე

ლოგონი, გირჩევ ყური მიგდო, რაში გჭირდება

გ ქედმაღლობა. ამგვარად მხოლოდ

ღიდიელებს და ფრიგიელებს<sup>71</sup> თუ დააშინებ.

თუ ჩემ დაწავრას, გამწარებას ეცდება ზევსი,

სასახლეს მისას, ამფიონის<sup>72</sup> სასახლის დარად.

წმ. კოთხეული წიწკანები იცხლში ვახვევენ.  
ი აუფხავნი ექესასამღუ დარჩულ არწივს  
დასამხობად, ტაჩო აქასას ეცხვეათ ცუადი.  
მნიწინგრად მახსოვს, მარტო ერთმა პორტირიონმა  
თა დღე აყარა ღმერთობას მღ  
წმ. ეი, მოახლევ მამა ზევსის, ჩვენს გაბრძნებას  
თო ჩა დაიწლი, სანანებლად გაგისდი საქმეს,  
აქუ ვაგაწვენ და კაოდედები  
აგად გამოდდი ბერიკაცის ხამკვირცხლეს, ადღას,  
ი რ ი დ ა  
ბიდწი სიტყვების გრცხვენოდეს, ბი ლწო.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
მომწყდო აქედან, აქმა, აქმა, ჩქარა მოუსუი,  
ი რ ი დ ა  
მწარედ განანებს მამაჩემი მაგ თავხედობას.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე  
ერთბაზად გული არ გამისკდეს, გასწი გაუბრინდი,  
აქციო ბაღდეტი შევამინე მუძუშქოვარა, (ავლეს ბრძლას  
მელიო მადრინაკს.)

### მ ე ს ა მ ე ა ნ თ ი ს ტ რ ო შ ა

მ ე ვ ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ქ ო რ ო  
შევსის მოდგმას და ნაშიერს დღეიდან ჩავცემთ ლახვარს,  
არ ეღირსებათ არასდროს ჩვენი ქალაქის ნახვა.

მე კვამლი საკურთხელო დაიღე შევალ.  
მე უფე ხურნელი ზვირაგის კმ წავეა.

ს თ ე ტ ე რ ე  
ვაითუ, ხალხთან ვაგზაფინილი მაუწყებელი  
დაგვიბრუნდა, მაშინ ა ვქნათ, რა გვეშვილება?

მ ა თ ე მ ა რ ი ზ ო დ ი  
მე ბბის მათხვებელია

ე წ ე ე ბ ე ლ ი  
პოსტეცერეგ, ბრძენო კაცო, უდიადესო,  
ღნიერებით ყველა კაცზე აღმატებულო,  
უ შეგიძლია სიტყვა მომცე?

ი ს თ ე ტ ე რ ე  
ას შეცევი ახალს?

მ ა უ წ ე ე ბ ე ლ ი  
ხალხმა იწამა შენი სიბრძნე, მადლობის ნიშნად  
იქროს ვვირგვინი გამომატანეს.

მ ი ს თ ე ტ ე რ ე  
სასტური მითქვამს, რად მარგუნეს ამხელა ჯილდო?

მ ა უ წ ე ე ბ ე ლ ი  
ადმშენებელი ჰაერთვან, ციურ ქალაქის,  
ანდიღებულა კაცთა შორის სახელი შენი.

ნატვრად ქცევიათ ამ ზღაპრული სამეფოს ნახვა.  
 ვიდრე შენ ქალაქს დააარსებდი,  
 კაცი თუ ქალი სპარტელებზე იყო შეშლილი:  
 დაუბანელი, მშიერი და თმააბურდული  
 დაწანწალებდნენ, ვით სოკრატეს, ხელჯოხი ეპყრათ.  
 ამქამად მხოლოდ ფრინველები აბოდებს ყველას.  
 შემოგვნატრიან, დიდის ამბით გვბაძავენ ფრთოსნებს.  
 წვენ ხის ტოტი გვაქვს თავშესაფრად, მათ სასამართლო.  
 ათას ჩასლართულ საქმეთაგან ელიან ლუკმას.  
 კრუხივით სხედან კანონებზე, გათენებიდან  
 ქალაქის მტვერში იგანგლებიან.  
 უკვე იმდენად შეიშალნენ, ისე დაგიჟდნენ.  
 რომ ფრინველების ირქმევვენ სახელს.  
 კოჭლი ვაჭარი იყო ერთი, „ბოლოქანქარა“  
 დაარქვეს საწყალს, მენიპეს კი „მერცხალი“ ჰქვია.  
 ფილოკლე მათთან „ტოროლაა“, თეოგენი კი  
 „ჭაობის იხვი“, ქეროფონტი<sup>73</sup> „დამურად“ იქცა;  
 დიკურგეს<sup>74</sup> „ძერას“ ეძახიან და სირაკოსი<sup>75</sup>  
 „შაშვად“ მონათლეს, მართლაც ისე დადის საბრალო.  
 დამხრჩვალნი შაშვი გაგახსენდება.  
 იმდენად უყვართ ფრინველები ადამიანებს.  
 როცა მღერიან, წამდაუწუმ არის ხსენება  
 მერცხალის, გვრიტის, მტრედის, გედის, წეროს, კაკაბის,  
 ფრთებსა და ბუმბულს სადმე მაინც გამოუტრევენ.  
 დაბლა ასეთი ამბებია. ერთს გეტყვი კიდევ:  
 სულ მალე ხალხით გაივსება აქაურობა,

დაგეხვევიან, მოითხოვენ ფრთებსა და კლანჭებს.

კიდრე მოსულან, ფრთები ბლომად მოიძარაგე. (მაუწყებელი  
სიფის.)

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

გვესია მოწმე, დაყოვნება არაფერს გვარგებს. (მონებს.)

ჩქარა გავარდი, კალათები და კიდობნები

ფრთებით გაავსე; შენ კი, მანეს, აქ მომიტანე

აჩემო ფრთები, აქვე მინდა, მოსვლისთანავე,

რომ მივეგებო უფროთ მოგზაურთ. (მონები მაღიას.)

### მ ე ო თ ხ ე ს ტ რ ო ფ ი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ს ე ვ ა რ ქ ო რ ო

აუ ასე გაგრძელდა, ეს ჩვენი ქალაქი

ხულ მალე იქცევა ხალხმრავალ სატახტოდ,

ბედის და ეროსის წყალობით!

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ხურც მოგვაკლდება შემწეობა და მფარველობა.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ს ე ვ ა რ ქ ო რ ო

სუყველგან უყვართ, მთელი მსოფლიო მოხიბლულია ჩვენი

ქალაქით!

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ასწრაფოდ ფრთები, ფრთები მჭირდება!

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ს ე ვ ა რ ქ ო რ ო

ველაფერია ამ ჩვენს ქალაქში,

იანე კაცს სჭირდება, მოუწონება,  
ქაჩლი, ღოგოლათი, ჭეკა-ფონქა,  
ჩვენთვის უაზრო ღარდი ფაშული,  
სუფიებს ხამშედე და სიყვარული.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

თა წული გწყდება, შე გლესუჭავ, გაინძებ ღბოძე!

### მ ე ო ტ ს ე ნ ა ნ ტ ი ს ტ რ ო შ ა

მ ე ო ტ ე ნ ა ნ ტ ე გ ა რ ქ ო რ ო

ფრთები კალათებში ჩააწყვეთ, სასწრაფოდ მოზიდეთ! (მე...  
პა, ბაღას უღვეხარ, გაეგარდი! (პი...  
კარგი იქნებოდა, მაგრამ მიგებეგვა ლაყე და უქნარა,  
კარივით დამდგარა ზანტი და არაღრის შაქნისი.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ღიდი ბედოვლათი გამოდგა ეგ თქვენი მანესი.

მ ე ო ტ ე ნ ა ნ ტ ე გ ა რ ქ ო რ ო

თოგორც წესია და რივი,

ისე განალაგეთ ფრთები:

მგალობელი ჩიტები — აქეთ, მისანი ფრთოსნები — იქით,  
ზღვათა ფრინველები — ცალკე, რომ ყველამ შეიძლოს  
მისთვის სასურველი ფრთების ამორჩევა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ი (კონანს)

ცა ჭკუანაკლულს ვსვდავ მუქთახორას,  
ერთი სული მაქვს, რომ თავში წავეუთაქო (სცემს, მონა ვარზის.)

მ მ თ მ რ თ მ მ რ მ ე ა ვ ი ზ (ო ღ ი)

(მეზიდის უბნის შვიდი.)

უ რ ჩ ი შ ე ი ღ ი (კლარის.)

ნეტავ არწივად მაქცია, მომე არწივის ფრთებით,  
დავწი შევიწივ, აღებ, დაეგარდში ავფრინდებით,  
დავფრინავ ქოლია, აქაფებუთი ზღვებით...

პ ი ს თ ე ტ ე რ ი

სუველაფერი მამ თავლია, რაც გვითხრა მაცნემ,  
ფილანტეზი ამ წავეწმე მღვრიან უკვე.

უ რ ჩ ი შ ე ი ღ ი

არ შეგულება ნეტარება, ფრენაზე დიდი!  
შემეგარებთა ფრინველების აღათ-წესები,  
გვიყვები თქვენზე, თქვენთან მინდა ყოფნა, ცხოვრება,  
აღთაყვანები კანონებს თქვენსას.

პ ი ს თ ე ტ ე რ ი

კანონი ფრთოსნებს მრავალი აქვთ, შენ რომელს ირჩევ?

უ რ ჩ ი შ ე ი ღ ი

ყველა კარგია, მე ის მსიბლავს განსაკუთრებით,  
ნებას რომ მაძლევს მამაჩემი დავკბინო, ვცემო.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

სწორია, ჩვენში იმ ყვინჩილას თვლიან ვაჟკაცად,  
ვინც რომ გალახავს საკუთარ მშობლებს.

უ რ ჩ ი შ ვ ი ლ ი

მეც ამისათვის გეახელით, მინდა მივბეგვო  
მამა მშობელი, მის ქონებას დავეპატრონო.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ყვინველებს ერთი კანონი გვაქვს უუძველესი,  
იპოვი, ყანებს უწერიათ სჯულის ფიცარზე!  
მას შემდეგ, რაც რომ მამა ყანჩა გამოზრდის ბარტყებს,  
დაავაჟკაცებს, სათითაოდ ასწავლის ფრენას,  
შვილებმა მამა უნდა არჩინონ.

უ რ ჩ ი შ ვ ი ლ ი

ვგ ვერაფერი კანონია, რა ხეირია,  
თუ საკუთარი არჩინე მამა.

პ ი ს თ ე ტ ე რ ე

ყვინველთა ჯილაგს რადგან ასე ეთაყვანები,  
იმგვარად მოგრთავ, დაემგვანო ობოლ ჩიტუნას<sup>20</sup>.  
ყური დამიგდე, მინდა რჩევა მოგცე კეთილი,  
სიყმაწვილეში სხვებისაგან გამიგონია.  
ცაბუკო, მამას ნუ გალახავ, აჰა, შენ, ფრთები --  
ერთი, მეორე, საომარი დაიჭი იფენი. (აძლევეს ფარსა და ხმავს)  
ხუჩად მოირგე ბიბილო მამლის. (აწვდის მუზარადს)  
გუშავად დადექ, მეომრობით ირჩინე თავი.

მეშვი მამას. თუკი ჩხუბის აგიტანს ყინი.  
გასწი, თრაკიას შიადექი, იქ გაბრძოლებენ.

ურჩი შვილი  
დამემოწმება დიონისე, შენ მართაღლს ამბობ,  
ასედაც ვიზამ, დაგიჯერებ.

პისტეტერე  
ბრას წააგებ. (ურჩია შვილი მიდის.)

მეორე მქე ვარიოლი  
შემოდის მესობზე პოეტი კინესია<sup>77</sup>.)

კინესია (მღერის).  
მალლა ცაში ავფრინდები  
უმსუბუქეს ფრთებითო.  
შემოვივლი მთელ ქვეყანას  
ჩემი სიმღერებითო.

პისტეტერე (თავისთვის).  
ამას რა ფრთები აუთავდება.

კინესია (მღერის).  
ვარ ღონიერი და უშიშარი;  
ცაში დავქრევიარ, როგორც ისარი.

პისტეტერე (კინესიას იცნობს).  
კინესიას ვახლავართ! ბამბუკივით არ აშოლტილა!  
ნეტა რა უნდა ამ ფეხმოჩორთვილს?

კ ი ნ ე ს ი ა

მოვედი თქვენთან, ველი წყალითას.

მეუ ბუღბულივით მინდა ვაქობა.

ბ ი ს თ ე ტ ვ რ ე

გმარა, წუ მღერი, მიპასუხე, რაზე გააჯგა...

კ ი ნ ე ს ი ა

ფროვები მომეცი, ცაში მინდა ავინავადლო.

წანდა ღრუბლებში ვიპოვო ხმები.

თოვლის ფიფქივით მოფარფაცე, ქარბუქიანი.

ბ ი ს თ ე ტ ვ რ ე

განა ღრუბლებში აგროვებენ ჯადოსნურ ჰანგებს?

კ ი ნ ე ს ი ა

ზაღა თქმა უნდა, ჩვენ უფრებდით არ გაგვეძიებო

ნიმღვრებს წვენსას მეწამული თხრუნღის ქუთუჯი.

სქელი ბურუსი, ქარაშოტი ანიჭებს შნოს და

პავროვნებას, მომისმინე, მერე განსაჯე.

ბ ი ს თ ე ტ ვ რ ე

... მსურს.

კ ი ნ ე ს ი ა

აქნე მანა შეუბი, წუ გამაწბილებ.

შენი გუდინავის დამის მთელი ცა მოვიადო, ... მღერის.

ეს სიღვათა ფროვბია.

